COMMISSIONER FOR HUMAN RIGHTS

COMMISSAIRE AUX DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

სტრასბურგი, 2010 წლის 29 სექტემბერი CommDH(2010)35

ორიგინალი ინგლისურ ენაზე

საქართველოში 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში და მის შემდგომ უგზოუკვლოდ დაკარგული პირების საქმეების გამოძიების მონიტორინგი

შინაარსი

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის შესავალი სიტყვა 3
ექსპერტების მოხსენება ადამიანის უფლებათა კომისარს 9
ექსპერტთა მიერ მოპოვებული ცნობების აღწერა 9
A. ალან ხაჩიროვის, ალან ხუგაევის და სოლტან პლიევის საქმე 13
წინაისტორია 13
ინფორმაციის ნაკადი და პირველი საჩივრის მტკიცებულებები 14
გამოძიება 14
"არაოფიციალური" გამოძიება 17
ექსპერტების მიერ სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია 19
ექსპერტთა მიერ მუშაობის პროცესში გადადგმული შემდგომი ნაბიჯები და მომდევნო ქმედებები 26
ექსპერტების შეფასება და საბოლოო რეკომენდაციები ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის საქმესთან დაკავშირებით 30
B. რადიკ იკაევის საქმე 32
C. გიორგი რომელაშვილის, ზაზა ბირთველაშვილისა და ოთარ სუხიტაშვილის საქმე (ქართული ტანკი 406-ს ეკიპაჟი) 36
წინაისტორია 36
ექსპერტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია 36
შეფასება და ექსპერტთა საბოლოო რეკომენდაციები რომელაშვილის, ბირთველაშვილისა და სუხიტაშვილის (ქართული ტანკი 406-ის ეკიპაჟი) საქმეზე 40
D. გიორგი ანცუხელიძის და კახახუბულურის საქმე 40
დანართი I. უფლებამოსილებათა სფერო (კომპეტენციის ფარგლები) 43
დანართი II. ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარება: ადგილის გეოგრაფია. 45

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის შესავალი სიტყვა

საქართველოში 2008 წლის შეიარაღებულმა კონფლიქტმა ძალიან ბევრი ხალხი იმსხვერპლა. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში რამდენჯერმე ვეწვიე საქართველოს ადამიანის უფლებათა კუთხით მდგომარეობის გასაცნობად და იმის გასარკვევად, თუ რა სახის დახმარების გაწევა შეეძლო საერთაშორისო საზოგადოებრიობას. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჰუმანიტარულ სფეროებში ყველაზე სასწრაფო საკითხების დროული მოგვარების მიზნით მე ჩამოვაყალიბე ექვსი პრინციპი.

ამ ღონისძიებათა ფარგლებში შევეცადე ჩემი წვლილი შემეტანა დაკავებულთა და დატყვევებულთა უფლებების დაცვის საქმეში, იხევე როგორც იმ ადამიანთა ბედის გარკვევაში, რომლებიც უგზოუკვლოდ დაკარგულებად ითვლებოდნენ. მიზანი მდგომარეობდა დავხმარებოდი იმ ადამიანთა განთავისუფლებასა და ოჯახებში დაბრუნებას, რომლებიც კონფლიქტის გამო იყვნენ დაკავებულნი. გარდა ამისა შევეცადე დამეჩქარებინა სასამართლოში იმ ადამიანთა საქმეების გადაწყვეტა, რომლებზეც არსებობდა ცნობები მეორე მხარეს მათი დაღუპვის ან დაკარგვის შესახებ. შეძლებისდაგვარად შევეცადე ხელი შემეწყო ამ კონტექსტში მხარეებს შორის დიალოგის გამართვისათვის. ამ ძალისხმევის შედეგად შესაძლებელი გახდა ასზე მეტი ადამიანის, მათ შორის არასრულწლოვნების, განთავისუფლება და რამდენიმე ადამიანის ნეშტის გადაცემა, რათა მათ ოჯახებსა და თანასოფლელებს ეგლოვათ ისინი და ღირსეულად დაესაფლავებინათ.

მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც კონფლიქტის დროს ან მის შემდგომ დაიკარგნენ და მათი ბედი დღემდე გაურკვეველია. რამდენიმე კონკრეტული საქმე დაკარგული ადამიანების შესახებ ჩემს ყურადღებამდეც მოვიდა და სხვადასხვა მხარეების წარმომადგენლებმა მთხოვეს დახმარება გამეწია მათთვის. ამისათვის დავუკავშირდი სერიოზული დანაშაულების საპოლიციო გამოძიებაში, მათ შორის საერთაშორისო და პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე ორ საერთაშორისო ექსპერტს. ჩემი მიზანი იყო დავხმარებოდი შესაბამისი ხელისუფლებების წარმომადგენლებს ამ კონკრეტული საქმეების გარემოებების დადგენაში.

ჩემს მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები არიან ბრიუს პეგი და ნიკოლას სებირი. ბატონი პეგი ავსტრალიის ფედერალური პოლიციის ოფიცერია. მას მრავალი სამხედრო დანაშაულის, წამებისა და ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის საქმე აქვს გამოძიებული. იგი მსახურობდა საერთაშორისო სამშვიდობო მონიტორინგის ჯგუფებში სოლომონის კუნძულებზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიაში აღმოსავლეთ ტიმორში (UNAMET). ბატონი სებირი საფრანგეთის ეროვნული პოლიციის კაპიტანია. მას ფართო გამოცდილება აქვს სერიოზული დანაშაულების გამოძიებაში, მათ შორის პოლიტიკურ ნიადაგზე ძალადობის, გენოციდის, ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის და სამხედრო დანაშაულის გამოძიებაში, მათ შორის ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო ტრიბუნალში (ICTY) და საერთაშორისო კრიმინალურ სასამართლოში (ICC) მოღვაწეობის პერიოდში.

თანდართული მოხსენება ემყარება ამ ორი ექსპერტის მუშაობის შედეგებს. მათ დაევალათ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მის შემდგომ ორივე მხარეს დაკარგული პირების კონკრეტული საქმეების გამოძიების მონიტორინგი. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მათ უნდა მოემზადებინათ ანგარიში, რომელიც მოიცავდა მოცემული გამოძიებების მსვლელობის დაწვრილებით,

დამოუკიდებელ და დაბალანსებულ შეფასებას. ამ ანგარიშის გაცნობის უფლება ექნებოდა ყველა დაინტერესებულ მხარეს.

ექსპერტები წარვუდგინე ქართულ მხარეს 2010 წლის 26 თებერვალს საქართველოში ჩემი ვიზიტის დროს. ამავე დროს ექსპერტები წარედგინა ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციას და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ექსპერტები წარედგინათ საერთაშორისო საზოგადოებრიობას, მათ შორის ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (EUMM). ისინი კონკრეტულ მუშაობას შეუდგნენ 2010 წლის 5 მარტს, მას შემდეგ, რაც მიიღეს თანხმობა - დაეწყოთ შეხვედრები საქართველოს პოლიციაში და იმ პროკურორებთან, რომლებიც ერთ-ერთ გამოძიებას აწარმოებდნენ. ექსპერტთა მუშაობა გაგრძელდა 2010 წლის 1 მაისამდე (ნიკოლას სებირი) და 25 ივნისამდე (ბრიუს პეგი).

საქმეები, რომლებში ჩართვაც ეთხოვათ ექსპერტებს, ფაქტიურად გამოქვეყნებული იყო ინტერნეტში ვიდეო ჩანაწერების სახით და შესაბამისი ფოტო-მტკიცებულებების დართვით. ერთ-ერთი საქმე ეხებოდა სამი ოსი ეროვნების ახალგაზრდას, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებიდან 2 თვის შემდეგ დაიკარგნენ ადმინისტრაციული საზღვრის ზოლის (ABL) მიმდებარე ტერიტორიიდან. ესენი არიან ალან ხაჩიროვი (დაბ. 1992 წლის 22 დეკემბერს), ალან ხუგაევი (დაბ. 1989 წლის 23 სექტემბერს) და სოლტან პლიევი (დაბ. 1983 წლის 19 მარტს). მათი გაუჩინარების თარიღია 2008 წლის 13 ოქტომბერი.

დანარჩენი საქმეები ეხებოდა 2008 წლის აგვისტოს სამხედრო მოქმედებების დროს და უშუალოდ მათ შემდეგ გაუჩინარებულ პირებს. ერთ-ერთი საქმე, რომელიც წამოჭრა როგორც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ომბუდსმენმა, ასევე საქართველოს სახალხო დამცველმა (ომბუდსმენმა), შეეხებოდა რადიკ იკაევის (დაბ. 1976 წლის 15 დეკემბერს) ბედ-იღბალს. მის შესახებ არსებობდა ინფორმაცია, რომ იგი დააკავეს ქართველმა სამხედროებმა 2008 წლის 8 აგვისტოს, რის შემდეგაც ის გაუჩინარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სთხოვა ექსპერტებს თავის თავზე აეღოთ იმის გარკვევა, თუ რა ზომები მიიღეს ცხინვალში გიორგი რომელაშვილის (დაბ. 1979 წლის 17 სექტემბერს) ბედის გასარკვევად. იგი მსახურობდა საქართველოს ჯარში და იყო სატანკო ეკიპაჟის წევრი (ტ-72 მოდელი, ნომერი 406). ამავე ეკიპაჟის წევრები იყვნენ კიდევ ორი ქართველი ჯარისკაცი - ზაზა ბირთველაშვილი (დაბ. 1976 წლის 17 აპრილს) და ოთარ სუხიტაშვილი (დაბ. 1975 წლის 29 აპრილს). ყველა მათგანი გაუჩინარდა 2008 წლის 8 აგვისტოს.

სამინისტრომ აგრეთვე მიაწოდა მათ ვიდეო მასალა, რომელზეც ასახულია ჯარისკაც გიორგი ანცუხელიძის (დაბ. 1984 წლის 18 აგვისტოს) დაკითხვის დროს მის მიმართ დაუშვებლად მკაცრი მოპყრობის კადრები. მისი ნეშტი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ გადასცა საქართველოს ხელისუფლებას. შემდგომში ამ საქმესთან დაკავშირებით საჩივარი გაიგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. კიდევ ერთი საქმე შეეხებოდა კახა ხუბულურს. ვიდეოზე, სადაც ის სხვა დატყვევებულ ჯარისკაცებთან ერთად არის ასახული, კარგად ჩანს სახის დაზიანებები და სისხლჩაქცევები. მისი ნეშტი აგრეთვე გადაეცა საქართველოს ხელისუფლებას.

ექსპერტებმა საკუთარ საქმიანობაში მიმართეს შემდეგ მოქმედებებსა და ნაბიჯებს: შეხვედრები შესაბამისი მხარეების წარმომადგენლებთან, რომლებიც ზემოხსენებულ საქმეებზე მუშაობდნენ; საგამოძიებო დოკუმენტების გაცნობა, მათ შორის მტკიცებულებათა და დოკუმენტაციის ზოგიერთი მონაკვეთის გაანალიზება, გამოძიების მსვლელობის და პრობლემების შეფასება; დაკარგული პირების ოჯახის წევრებთან გასაუბრება, შესაბამისი ანგარიშებისა და მასალების მოპოვება და შესწავლა; თხოვნის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებისათვის მასალების გადაცემაში დახმარება; შესაძლო მოწმეთა გამოვლენა და დაკითხვა, მათი მონაყოლის ანალიზი; გამოძიების შემდგომ მსვლელობასა და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაწევა.

თავიდანვე გარკვევით იქნა ხაზგასმული, რომ ექსპერტები არ აპირებდნენ გამოძიების "ხელში აღებას", არამედ აწარმოებდნენ მის მონიტორინგს, რეკომენდაციებისა და დახმარების გაწევის გზით დაკარგული პირებთან დაკავშირებული გარემოებების დადგენის კონტექსტში.

შესაბამისმა მხარეებმა, კონკრეტულად, ძირითადმა საკონტაქტო პირებმა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო და ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ომბუდსმენმა - სასარგებლო თანამშრომლობა აღმოუჩინეს ექსპერტებს. ამის გარეშე წინამდებარე ანგარიშის წარდგენა შეუძლებელი იქნებოდა. კერძოდ, ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის საქმესთან დაკავშირებული გამოძიებაზე დაკვირვებისას ექსპერტებს დასჭირდათ ფართო და ინტენსიური შეხვედრები და საუბრები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომელთა მზადყოფნაც პროექტში მონაწილეობისათვის მხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს.

ფასდაუდებელი მხარდაჭერა აღმოუჩინეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, კერძოდ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო). აქვე მინდა პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო ყველა მოწმისა და დაკარგული პირების ნათესავების მიმართ მათი საგრძნობი წვლილისათვის ექსპერტთა ძალისხმევაში.

ექსპერტთა ანგარიში კრიტიკულია. მასში ნაჩვენებია ის სერიოზული ხარვეზები, რომლებიც თან ახლდა დაკარგული პირების ბედის გარკვევის პროცესსა და უკანონო ქმედებების ჩამდენი პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. ექსპერტები წააწყდნენ სიტუაციას, სადაც სიმართლის დადგენის გზაზე უამრავი წინააღმდეგობა ელობებოდათ.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მიუხედავად EUMM-ის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციასციისა (GYLA) და დაკარგული პირების მშობლების დიდი მონდომებისა, ხაჩიროვის, ხუგაევის და პლიევის საქმის გამოძიებია მდარედ მიმდინარეობდა მთელი იმ თითქმის წლინახევრის განმავლობაში, რაც ისინი გაუჩინარდნენ. მაგალითად, არ იქნა დაკითხული მორიგე მილიციონერი, რომელიც გაუჩინარების დღეს ადგილზე იმყოფებოდა. გარდა ამისა, არ არსებობს გაუჩინარების ადგილის გარშემო ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ხალხის გამოკითხვის წერილობითი დოკუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა რჩევის შესაბამისად გადაიდგა ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად, მათ შორის დაკარგული პირების დედების მიერ

პროკურატურისათვის ჩვენებების მიცემა, რიგი ტექნიკური ნაკლოვანებებისა, როგორც ეს ექსპერტების ანგარიშშია აღნიშნული, გამოძიებაში კვლავ რჩებოდა.

ძირითადი პრობლემა უკავშირდება თვით გამოძიების უტყუარობასა და ობიექტურობას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გაუჩინარებაში სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მონაწილეობის მიმანიშნებელი სერიოზული ვარაუდები, გამოძიების ოპერატიული წარმოება არ იყო ჩამოშორებული იმ სამსახურებისაგან, რომელთა თანამშრომლებიც იყვნენ ეჭვმიტანილნი.

ექსპერტების ანგარიშში, ფაქტიურად მითითებულია, რომ მათ მიერ მოპოვებული ინფომაციის შესაბამისად, ხაჩიროვი, ხუგაევი და პლიევი დააკავეს და ციხეში გადაიყვანეს ქართველმა სამართალდამცავებმა 2008 წლის 13 ოქტომბერს.

აქედან გამომდინარეობს უეჭველი დასკვნა, რომ ამ საქმის გამოძიება უნდა გადაეცეს მაღალპროფესიონალურ ჯგუფს, რომლის წევრების ობიექტურობა და პატიოსნება ეჭვს არ იწვევს. გამოძიებაზე ზედამხედველობა უნდა ჩამოერთვას რეგიონალურ პროკურატურას, ხოლო ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებას უნდა ჩამოშორდეს ადგილობრივი პოლიცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტები ასევე იძლევიან რეკომენდაციას, რომ დაკარგული ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის საქმის გამოძიებისას შესწავლილ იქნას სამართალდამცავი ჩინოსნების საქციელი. გარდა ამისა, ყველა იმ ოფიციალურ პირთა მოქმედებები, რომლებიც ან მოწმენი იყვნენ, ან ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, ან რაიმე როლი ინფორმაციის შეგროვებისა და სამი პიროვნების გაუჩინარებასთან დაკავშირებული გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე. აუცილებელია ყველა იმ პოლიციელის ზუსტი ვინაობის დადგენა, რომლებიც მორიგეობდნენ შესაბამის ტერიტორიაზე გაუჩინარების მომენტში.

ექსპერტებმა ვერ მოიპოვეს ტექნიკური ინფორმაცია რუსული მხარის ოფიციალური წარმომადგენლებისაგან ზემოაღნიშნული დაკარგული პირების მობილური ტელეფონების, შესაბამისი ზარებისა და მათი ადგილმდებარეობის შესახებ. აუცილებელია, რომ რუსული მხარის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, ისევე როგორც ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ, სრულად ითანამშრომლონ ამ საქმის კორექტული ზედამხედველობით წარმართულ ნებისმიერ ახალ გამოძიებასთან.

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოში რადიკ იკაევის გაუჩინარების საქმეს, საქართველოს პროკურატურამ დაუდასტურა ექსპერტებს, რომ მას ეს საქმე აღრიცხვაზე ჰქონდა აყვანილი. ექსპერტებმა სურვილი გამოთქვეს დახმარებოდნენ გამოძიებას, რა მიზნითაც ჩამოართვეს ჩვენებები რადიკ იკაევის ნათესავებსა და ოთხ მოწმეს, რომელთა შორის სამი მასთან ერთად იყო დაკავებული. ექსპერტების ცნობით, საქართველოს პროკურატურისათვის მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას არანაირი შემდგომი ქმედებები არ მოჰყოლია.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დადგენილია ქართველი სამხედროების მიერ იკაევის დაკავებისა და დაპატიმრების, მოწმეების მიერ მისი საპატიმროში ნახვის და ამის შემდგომ მისი უგზოუკვლოდ გაუჩინარების ფაქტები. ეს გარემოებები მოითხოვენ სისხლის სამართლის საგამოძიებო ქმედებების დაწყებას.

გიორგი რომელაშვილის საქმე, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იყო წამოჭრილი, ოდნავ დამაბნეველი აღმოჩნდა. ადამიანში, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ექსპერტებისათვის მიწოდებულ ვიდეოფირზე იყო აღბეჭდილი და რომელსაც სამინისტრო გიორგი რომელაშვილად ასახელებდა, გიორგი რომელაშვილის დედამ საკუთარი დაკარგული შვილი ვერ ამოიცნო. მიუხედავად ამისა, ექსპერტებმა სცადეს თავისი წვლილი შეეტანათ გიორგი რომელაშვილისა და მისი ტანკის ეკიპაჟის ორი დანარჩენი წევრის – ზაზა ბირთველაშვილისა და ოთარ სუხიტაშვილის - გაუჩინარების საქმის გარკვევაში.

ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ტანკი 406 მთლიანად იყო განადგურებული 2008 წლის 8 აგვისტოს და რომ ეკიპაჟის წევრების ნეშტების ამოცნობა ადვილი არ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ამ საკითხთან, და აგრეთვე, დაახლოებით იმავე პერიოდში ცხინვალში განადგურებული კიდევ ორი ქართული ტანკის საკითხთან დაკავშირებული ყველა გარემოების უფრო ზუსტი გარკვევა. ეს მნიშვნელოვანია ეკიპაჟის წევრთა ოჯახებისათვის, რომლებიც იტანჯებიან მათი ახლობლების ბედის შესახებ ცნობების არარსებობის გამო. გარდა ამისა, დასადგენია ზემოაღნიშნულ ვიდეოზე აღბეჭდილი ტანკისტის ვინაობაც.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაცემული მასალა, რომელზეც მოწინააღმდეგე ძალის მიერ ქართველი ჯარისკაცების დაპატიმრების ფაქტებია აღბეჭდილი, ექსპერტებმა განიხილეს ცხინვალში დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად. გიორგი ანცუხელიძის ვიდეოზე ჩანს ამ პიროვნების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, ხოლო კახა ხუბულურის ვიდეოზე – რომელიც სავარაუდოდ მოწინააღმდეგე ძალის მიერ მისი (ცოცხლად) დაჭერისთანავეა გადაღებული – ჩანს მისთვის მიყენებული დაზიანებები, რომლებიც, მინიმუმ, ახსნა-განმარტებებს საჭიროებენ. მაგრამ ექსპერტებმა მომახსენეს, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების პოზიციის გამო მათ ვერ შეძლეს ამ საქმეებში ჩაძიება. მიუხედავად იმისა, რომ ნათლად იყო აღიარებული, რომ ვიდეო მასალაზე აღბეჭდილი ფაქტები საერთაშორისო სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევაა, ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული ის ფაქტი, რომ ამ საქმეებს რაიმე საერთო აქვთ გაუჩინარებასთან (ამ პირების ცხედრები გადაეცა საქართველოს ხელისუფლებას) და ამდენად ექსპერტების კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

აქედან გამომდინარე, ექსპერტებმაც და მეც გამოვიტანეთ დასკვნა, რომ მცდელობაც კი არ ყოფილა იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისა, რომლებიც ამ კადრებში ძალადობრივ აქტს სჩადიან გიორგი ანცუხელიძის წინააღმდეგ – რომელმაც, შესაძლოა გამოიწვია მისი სიკვდილი – და არც იმის გარკვევის მცდელობა ყოფილა, თუ როგორ გადაიტანა დაზიანებები კახა ხუბულურმა, რომელიც, სავარაუდოდ პატიმრობაში გარდაიცვალა. არც იმ პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარა, რომელმაც მის წინააღმდეგ ძალადობა იხმარა.

დაკავებული პირების მიმართ ადამიანური მოპყრობა არის ის პრინციპი, რომლის უგულვებელყოფაც არ შეიძლება. ნებისმიერი დანაშაულებრივი ფაქტი ასეთი პირების მიმართ საჭიროებს სრულ და საფუძვლიან გამოძიებას. იმას, რომ ეს დანაშაული ხდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს. პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობა წარმოადგენს როგორც ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული

ხელშეკრულებების, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევას.

თომას ჰამერბერგი
ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი

ექსპერტების მოხსენება ადამიანის უფლებათა კომისარს

ექსპერტთა მიერ მოპოვებული ცნობების აღწერა

ალან ხაჩიროვის, ალან ხუგაევის და სოლტან პლიევის საქმე
რადიკ იკაევის საქმე

საქართველოში მათი მუშაობის პერიოდში ექსპერტებმა, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ყოველმხრივი საუბრები გამართეს საქართველოს საგამოძიებო ორგანოებთან, შეიმუშავეს რამდენიმე რეკომენდაცია სამი ახალგაზრდა ეთნიკური ოსის - ალან ხაჩიროვის, ალან ხუგაევის და სოლტან პლიევის გაუჩინარების გარემოებებში გარკვევის მიზნით. ზემოაღნიშნული სამი ახალგაზრდა ბოლოს ცოცხლები ნახეს 2008 წლის 13 ოქტომბერს. ერთ-ერთი მათგანი, ალან ხაჩიროვი, არასრულწლოვანი იყო, რომელსაც გაუჩინარების მომენტში 16 წელი არ შესრულებოდა.

როდესაც ექსპერტებმა საქართველოში მუშაობა დაიწყეს 2010 წლის 5 მარტს – მათი გაუჩინარებიდან თითქმის წლინახევრის შემდეგ – მათ აღმოაჩინეს, რომ მიუხედავად სხვადასხვა მონაწილეთა, როგორიცაა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), აგრეთვე დაკარგულთა მშობლების დაინტერესებისა, ამ საქმის გამოძიებისათვის ძალიან უმნიშვნელო საქმიანობა იყო ჩატარებული.

ექსპერტები განსაკუთრებით განაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ მიუხედავად სერიოზული ეჭვების არსებობისა იმის თაობაზე, რომ ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარებაში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ხელი ერია, თითქმის არანაირი ზომები არ იყო მიღებული დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად. რამდენადაც ექსპერტებმა დაადგინეს, საქართველოს კანონმდებლობა საკმარის საფუძველს იძლევა ამ პრინციპის გამოყენებისათვის.

ექსპერტების აზრით, არ იქნა მიღებული მთელი რიგი გონივრული და აშკარად აუცილებელი ზომებისა გამოძიების კონტექსტში მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად. მაგალითად, არ არსებობდა ახლო-მახლო მაცხოვრებელთა ჩვენებების წერილობითი დოკუმენტი, არ იყო დაკითხული გატაცების დღეს ადგილზე მორიგე პოლიციელი, არ იქნა მოძიებული საიდუმლო მაცნე სოფელ კოშკასა და მისი შემოგარენის მაცხოვრებელთა შორის, ანუ იმ რაიონში, სადაც ის ბოლოს ნახეს ცოცხალი.

ექსპერტთა რეკომენდაციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, მათ შორის საშუალება მისცა დაკარგულთა დედებს მიეცათ ჩვენებები პროკურატურის წარმომადგენლებისათვის გორში. გარდა ამისა, მათ მიანიჭეს მსხვერპლის სტატუსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად.

ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლებამ არ მიიღო ექსპერტთა ზოგიერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, მაგალითად ფულადი ჯილდოს გამოცხადება ინფორმაციისათვის, რომელიც დაკარგული პირების პოვნას დაეხმარებოდა.

დანარჩენ რეკომენდაციებზე მიღებულ იქნა მხოლოდ სიმბოლური ან გაუმართლებლად დაგვიანებული პასუხი. ადგილი არ ჰქონია სერიოზულ მცდელობას - აღმოეჩინათ პიროვნება, რომელმაც 2009 წლის მარტსა თუ აპრილში პირველმა გამოაქვეყნა ინტერნეტში სამი დაკარგული პირის ტყვეობაში ან პატიმრობაში ყოფნის ამსახველი ვიდეო მასალა, სადაც ჩანს, რომ მათდამი სავარაუდოდ დაშინებისა და დაკითხვისას ძალადობის გამოყენების ფაქტებს აქვს ადგილი იმ პირების მხრიდან, რომელთა სახეებიც კადრში არ ჩანს. ამასთანავე, ექსპერტებისათვის გაუგებარია, რა გონივრული გამართლება შეიძლება მოეძებნოს ვიდეო მასალისათვის სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებისა და მისი გაშიფრული ჩანაწერის მომზადების გაჭიანურებას. ეს ქმედებები დასრულდა მხოლოდ 2010 წლის 18 მაისს.

ექსპერტებმა ვერ დაადგინეს, თუ, მათი რეკომენდაციებისაგან დამოუკიდებლად, რა საგამოძიებო სტრატეგია იყო შემუშავებული და გამოყენებული ამ საქმეში. საბოლოოდ არსებითი წინსვლა სამი დაკარგული პირის ბედის ოფიციალურად გარკვევის მიმართულებით ძალზედ მცირედი აღმოჩნდა.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ ძალიან მცირედი წვლილი შეიტანა ამ სამი პიროვნების ბედის გარკვევაში. კერძოდ, ბევრი პოტენციური მოწმე სამხრეთ ოსეთში არ იქნა ისე სიღრმისეულად დაკითხული, როგორც ამას საქმე მოითხოვდა. არც დაკარგული პირების მობილურ ტელეფონებთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხის შესწავლა არ მომხდარა დე ფაქტო ხელისუფლების მიერ. ეს მობილურები რუსეთში რეგისტრირებულად ითვლებოდა და შესაბამისად რუსეთის ოფიციალური პირებისგან იყო შესაძლებელი ინფორმაციის მოპოვება შესაბამისი ზარების რეგისტრაციის შესახებ. ამასთანავე, არ ჩატარებულა 2008 წლის 13 ოქტომბერს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ არსებული პირობების შესწავლა და მორიგე პერსონალის სათანადო გამოკითხვა.

მათ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2008 წლის 13 ოქტომბერს ხაჩიროვი, ხუგაევი და პლიევი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ დააკავეს და ქართველმა სამართალდამცველებმა ციხეში გადაიყვანეს. ეს ვარაუდი გამომდინარეობს აგრეთვე ეუთო-ს მისიის პატრულის 14 ოქტომბრის მოხსენებიდანაც, რომელიც იმეორებს სოფელ დიცის ქართული პოლიციის ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, სამი შეიარაღებული მამაკაცი სამხრეთ ოსეთიდან დააპატიმრეს სოფელ "დიცევში" (დისევი) 2008 წლის 13 ოქტომბერს და შემდგომ ბადრაგის თანხლებით გადაიყვანეს გორში. მოხსენებაში აღნიშნული დრო, ადგილი და სამი პიროვნების მოხსენიება შეესაბამება ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარებასთან დაკავშირებულ მომენტებს.

ეს ადამიანები გაუჩინარდნენ ადმინისტრაციული საზღვირს გასწვრივ, სოფლებთან კოშკა, მერეთი და დიცი, ქართული უსაფრთხოების ძალების დამატებითი კონტინგენტის, მათ შორის მუდმივი ჯარისა და სპეციალური დანაყოფების განლაგების ფონზე. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც რუსმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა დატოვეს ყოფილი "ბუფერული ზონა". მიუხედავად ჯარის გაზრდილი ნაწილების განლაგებისა, აღნიშნულ პერიოდში მოცემული ტერიტორია მაინც მყიფე უსაფრთხოებით ხასიათდებოდა: ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როგორიცაა გატაცება, ყაჩაღობა, ქურდობა და მაროდიორობა, აგრეთვე რამდენიმე დაპატიმრების შემთხვევა.

ექსპერტები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა დონეზე ყოველთვის არ აწვდიდნენ სარწმუნო ინფორმაციას მოცემულ პერიოდში ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ პოლიციის ძალების განლაგების თაობაზე. ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლებიც ფაქტიურად განლაგებულნი იყვნენ იმ ტერიტორიაზე, ზოგიერთი სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელთა ჩათვლით, ხშირად დამაბნეველი, ან უფრო მეტიც, გამიზნულად გაყალბებული იყო და ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ მოგროვებულ ინფორმაციას.

ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ტერიტორიაზე, საიდანაც გაუჩინარდა აღნიშნული სამი პიროვნება, სათანადო წესრიგისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან კონტროლის ნაკლებობა შეინიშნებოდა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ იმ ტერიტორიაზე განლაგებულ პოლიციელებს შორის იყვნენ ცხინვალის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით განლაგებული სოფლების, მათ შორის, ქურთას და ერედვის ყოფილი მაცხოვრებლები. ეს სოფლები 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და მის შემდგომ მთლიანად დაინგრა და მათი ქართველი მოსახლეობა იძულებული იყო გახიზნულიყო.

კონკრეტულად რა შეემთხვათ ხაჩიროვს, ხუგაევსა და პლიევს მას შემდეგ, რაც ისინი დააპატიმრეს, გაურკვეველია. პოტენციურად, შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტი არსებობდეს. თუ სინამდვილეს შეეფერება ის, რომ ადამიანი, რომლის ხმაც ვიდეოზე ისმის, არის ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიიდან ადგილნაცვალი კონკრეტული პიროვნება, რომელიც არ არის საქართველოს უშიშროების ძალების მოსამსახურე, მაშინ ამას მივყავართ გარკვეულ ჰიპოტეზამდე.

ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის ოჯახები იმედს იტოვებენ და სჯერათ, რომ მათი დაკარგული ნათესავები ცოცხლები არიან. ექსპერტები საქმის ყურში არიან სხვადასხვა მითქმა-მოთქმისა და განცხადებების თაობაზე, თითქოს ისინი ციხეში ან სადმე სამალავში ჰყავთ გამომწყვდეული. სამწუხაროდ, ექსპერტებს არ გააჩნიათ რაიმე სარწმუნო ინფორმაცია იმ ჰიპოტეზის გასაძლიერებლად, თითქოს ეს სამი ახალგაზრდა დღემდე ცოცხალია.

ექსპერტებმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს გარკვეული პოლიციელებისა და იმ სხვა პირების ვინაობის შესახებ, რომელთაც, სავარუდოდ ხელი ერიათ ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარების საქმეში. გარდა ამისა, აცნობეს მათ, თუ რა კონტექსტში ხდებოდა ამ პირების მოხსენიება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია, გასაგები მიზეზების გამო, წინამდებარე ანგარიშში არ მოხვდა.

რაც შეეხება რადიკ იკაევის საქმეს, ექსპერტებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ის დააკავეს და დააპატიმრეს ქართველმა სამხედროებმა 8 აგვისტოს, ზნაურის რაიონის სოფელ ბაკათი-კაუში ან მის მახლობლად. ასევე ცხადია, რომ ის შემდგომში გადაიყვანეს გორის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში, სადაც რამდენიმე დღე გააჩერეს და შემდეგ გადაიყვანეს ვაზიანის სამხედრო ბარაკებში. ბოლოს ის ცოცხალი ნახეს 2008 წლის 22 აგვისტოს და მაშინ ის ქართულ ციხეში იმყოფებოდა.

ექსპერტებისთვის უცნობია, მოჰყვა თუ არა ადექვატური რეაქცია ნათელ მინიშნებებს რადიკ იკაევის გაუჩინარებაში სამხედროების და/ან პოლიციის

თანამშრომელთა მონაწილეობის თაობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის ცნობილი, თუ რამდენად ეფექტურად იქნა საქმე გამოძიებული იმის დასადგენად, თუ რა გარემოებებში მოხდა რადიკ იკაევის გაუჩინარება, რათა დამდგარიყო შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

გიორგი რომელაშვილის, ზაზა ბირთველაშვილის, ოთარ სუხიტაშვილის (ქართული ტანკი 406) საქმე
გიორგი ანცუხელიძის საქმე
კახა ხუბულურის საქმე

ექსპერტებმა ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციის წინაშე დააყენეს ორი ქართველი მეომრის, გიორგი ანცუხელიძისა და კახა ხუბულურის საკითხი, რომლებიც მოწინააღმდეგე ძალებმა დაატყვევეს და რომელთა ცხედრებიც გადასცეს ქართულ მხარეს. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ არსებობდა გრაფიკული ვიდეო მასალა, რომელზედაც ჩანდა ანცუხელიძის წამების ფაქტები, ისევე როგორც მეორე ვიდეო ჩნაწერი, სადაც გამოსახულია ხუბულური, რომელსაც აშკარად ემჩნევა დაზიანებები. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ომბუდსმენმა აღიარა, რომ ვიდეომასალაზე გამოსახული კადრები სერიოზული ხასიათის კითხვებს წამოჭრის, მან ამავე დროს ხაზი გაუსვა ცხინვალის პოზიციას, რომ ექსპერტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მხოლოდ <u>დაკარგული</u> პირების საქმეების გამოძიების მსვლელობას – არა იმ პირებისა, რომელთა გვამებიც გადაცემულია მეორე მხარისათვის – და რომ კომისრის ექსპერტები "არ არის ის დონე", რომელზედაც შეისწავლება სხვა სახის საქმეების გამოძიების მსვლელობა, მათ შორის იმ საქმეებისა, რომლებიც მილიციის, სამხედროების ან უშიშროების არასწორ მოქმედებას შეეხება. ამის გამო ექსპერტები იძულებულნი არიან მწუხარებით აღნიშნონ, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ამ პოზიციამ არ მისცა მათ საშუალება შეესწავლათ აღნიშნული საქმეები. მათ მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეუძილათ, რომ ამ საშინელი ძალადობრივი აქტების ჩამდენი პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მცდლეობაც კი არ ყოფილა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება იმ პირობით თანხმდებოდა ექსპერტებთან თანამშრომლობას ეთნიკურ ქართვლებთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების საქმეში, თუ იქნებოდა რაიმე წინსვლა ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარების გამოძიებაში.

საქართველოს სელისუფლების მიერ ექსპერტებისათვის გადაცემულ ერთ-ერთ ვიდეო მასალაზე, ქართული მხარის მტკიცებით, გამოსახულია ახალგაზრდა სამხედრო გიორგი რომელაშვილი. ამ ვიდეოზე ნაჩვენებია ჯარისკაცი აშკარა დაზიანებებით სახისა და თავის არეში (სისხლდენა და მძიმე დასახიჩრება). საკუთარ უფლებამოსილებათა ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ რომელაშვილის ნათესავებს. შესაბამის სახელმწიფო მოხელეებთან შეხვედრებისა და რომელაშვილის ნათესავებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ, თუმცა ქართული ტანკი 406-ს მთლიანი ეკიპაჟი (რომელაშვილის ჩათვლით) კვლავ დაკარგულად ითვლება, მოცემულ ვიდეოზე გადაღებულ პიროვნებაში რომელაშვილის დედამ <u>ვერ ამოიცნო</u> ვერც ერთი იმ ორ შვილთაგანი, რომლებიც მან 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს დაკარგა.

ექსპერტთა საბოლოო პოზიცია ტანკი 406-ის საკითხთან დაკავშირებით არის ასეთი, რომ ტანკი მთლიანად იქნა განადგურებული 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალზე ქართველთა იერიშის დროს. ეკიპაჟის წევრთა გვამების ამოცნობა არ

იყო ადვილი. ტანკი 406-ის, ისევე, როგორც კიდევ ორი ქართული ტანკის ნარჩენების უშუალო სიახლოვეს გადაღებული ფოტოები მიანიშნებენ, რომ შიგ მჯდომი ჯარისკაცები თითქმის მთლიანად განადგურდებოდნენ. ერთ-ერთმა მოწმემ აღნიშნა, რომ 2008 წლის 9 აგვისტოს მან ნახა ადამიანის გვამის გულ-მკერდის ნაწილი, რომელსაც შემორჩენოდა ტანსაცმლის ნაგლეჯი წარწერით "სუხიტაშვილი". სავარაუდოა, რომ ამ ტანკების განადგურების შემდეგ გვამები გამოიტანეს და დაწვეს.

A. ალან ხაჩიროვის, ალან ხუგაევის და სოლტან პლიევის საქმე

წინაისტორია

1. ალან ხაჩიროვის, ალან ხუგაევისა და სოლტან პლიევის გაუჩინარების საქმეზე ადამიანის უფლებათა კომისრის ყურადღება გაამახვილა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ომბუდსმენმა დავით სანაკოევმა 2008 წლის 22 ოქტომბერს. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, ეს სამი პიროვნება (ეთნიკური ოსები, შესაბამისად 15, 19 და 25 წლის) "უკანონოდ დააპატიმრეს" ქართულმა ძალებმა 2008 წლის 13 ოქტომბერს სოფელ კორკულადან სოფელ ხელჩუასკენ მიმავალ გზაზე. თუმცა საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს აღნიშნული პირების დაკავების ან დაპატიმრების ფაქტს.

2. გზა, რომელზედაც აღნიშნული პიროვნებები ბოლოს ნახეს, გადის ადმინისტრაციული საზღვრის ხაზზე, ან ემიჯნება მას (იხ. დანართი II). ექსპერტების ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ზემოაღნიშნული პირების გაუჩინარების პერიოდში უსაფრთხოება ამ რაიონში ძალიან სუსტად იყო დაცული. 2008 წლის 10 ოქტომბერს, ანუ ამ სამი პიროვნების გაუჩინარებამდე სამი დღით ადრე, რუსულმა სამხედრო ძალებმა დატოვეს ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ყოფილი "ბუფერული ზონა". 2008 წლის შემოდგომის პერიოდში ადამიანის უფლებათა კომისარი რეგულარულად იღებდა ინფორმაციას ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს დაჭერებისა და გატაცებების შესახებ; ინფორმაცია მოდიოდა სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებისგან, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებისგან, რუსეთის ხელისუფლებიდან და აგრეთვე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან. ექსპერტების მიერ შემდგომში მოპოვებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ ლევ ტეხოვი, ოლეგ გიგოლაევი და პაველ ტეხოვი იყვნენ ერთ-ერთნი, ვინც იმ პერიოდში დააკავეს ან დააპატიმრეს ქართველმა ძალოვანებმა აღნიშნულ რაიონში.[1]

3. სადღაც 2009 წლის მარტში ინტერნეტში განთავსდა ვიდეო[2] მასალა, რომელზედაც აღბეჭდილია მჯდომარე ან მოკრუნჩხული სამი პიროვნება. ისინი შეშინებული და აბურძგვნილი გამოიყურებიან, როგორც ჩანს, ამ დროს ექვემდებარებიან დაშინებასა და ძალადობრივი მეთოდებით დაკითხვას. მიუხედავად ხარვეზიანი ჩანაწერისა, ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ მასზე გამოსახული პიროვნებები არიან ალან ხაჩიროვი, ალან ხუგაევი

[1] ლევ ტეხოვი და ოლეგ გიგოლაევი დააკავეს 2008 წლის 14 ოქტომბერს სოფლების ზემო კორკულასა და ხელჩუას დამაკავშირებელ გზაზე, ხოლო პაველ ტეხოვი (ლევ ტეხოვის ძმა) დააკავეს მომდევნო დღეს (2008 წლის 15 ოქტომბერს) კოშკას პოლიციის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან.

[2] ვიდეომასალის ნახვა კვლავ შეიძლება შემდეგ მისამართზე: http://www.youtube.com/watch?v=SUczCfP6EI4

და სოლტან პლიევი. რაც შეეხებათ პიროვნებებს, ვინც დაკითხვას აწარმოებს, მათი სახეები ვიდეოზე არ ჩანს, მაგრამ მათი ხმები კარგად ისმის.

ინფორმაციის ნაკადი და პირველი საჩივრის მტკიცებულებები

4. ალან ხაჩიროვის დედამ ექსპერტებს ამცნო, რომ მან პირველად ცხინვალის ხელისუფლებას მიმართა 2008 წლის 16 თუ 17 ოქტომბერს და აცნობა აღნიშნული სამი პირის გაუჩინარების ფაქტის შესახებ. როგორც მას ახსოვს, 20 ოქტომბერს იყო სამხრეთ ოსეთის (დე ფაქტო) შინაგან საქმეთა მინისტრთან მიხეილ მინძაევთან, რომელსაც აუხსნა საკუთარი შეშფოთება შვილისა და კიდევ ორი ახალგაზრდის გაუჩინარების გამო.

5. როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა კომისარმა პირველი ინფორმაცია ამ საქმის შესახებ მიიღო 2008 წლის 22 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ომბუდსმენისაგან.

6. 2008 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (GYLA) წერილი გაუგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, კონკრეტულად კი პენიტენციალური სისტემის წარმომადგენელს, სადაც მოითხოვდა ინფორმაციას დაახლოებით 13 ადამიანის შესახებ, მათ შორის ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლეიევის შესახებ. წერილში გამოთხოვილია ინფორმაცია თითოეული მათგანის ადგილსამყოფელისა და მდგომარეობის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37, 38 და 40 მუხლების შესაბამისად. 2008 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულ საპასუხო წერილში, რომელსაც პენიტენციალური სისტემის ოფიციალური წარმომადგენელი აწერს ხელს, მითითებულია, რომ ხელისუფლება არ არის ვალდებული უპასუხოს GYLA-ს მიერ დასმულ კითხვას.

7. 2008 წლის 31 ოქტომბერს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელს, რომელიც ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად ხიდის დანგრევის გამო შემოწმებას აწარმოებდა, თხოვნით მიმართა (დე ფაქტო) სამხერთ ოსეთის ერთ-ერთმა სამხედრომ, რომ დაედგინა თუ სად იხდიდნენ პატიმრობას ადრე გაუჩინარებული ხაჩიროვი, ხუგაერვი და პლიევი. იგივე თხოვნით მიმართეს ეუთო-ს საპატრულო ჯგუფს. ასეთივე თხოვნები გამეორდა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მხრიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიმართ 2008 წლის 1 და 6 ნოემბერს. 2008 წლის 8 ნოემბერს შედგა შეხვედრა რუს სამხედრო ოფიცერსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილეს შორის, სადაც დაისვა სამი დაკარგული პიროვნების საკითხი.

გამოძიება

8. 2009 წლის 20 ივნისს საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის "უკანონო დაპატიმრების" მუხლით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლი) ანუ მათი გაუჩინარებიდან (2008 წლის 13 ოქტომბერი) შვიდ თვეზე მეტი ხნის შემდეგ. ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს (საქმე ნომერი 074098089).

9. 2010 წლის 9 მარტისათვის საქმე შედგებოდა 44 გვერდისაგან, რომლის უმეტეს ნაწილს კორესპონდენცია, კონკრეტულად კი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) აპარტთან მიმოწერა შეადგენდა. ცხრა გვერდი შეეხებოდა ჩატარებულ საგამოძიებო ღონისძიებებს, რომელთა შორის იყო 2009 წლის 29 ივნისით დათარიღებული თხოვნა, მოპარულად გამოცხადებლიყო ავტომანქანა[3], რომლითაც სამი ადამიანი გაუჩინარდა, და 2009 წლის ნოემბერში ოთხი მოწმისაგან ჩამორთმეული ხელნაწერი ჩვენებები.

10. მოწმეთა ყველა ჩვენება უარყოფითი ხასიათის იყო ანუ შეიცავდა იმ განცხადებას, თუ რა არ უნახავთ ან არ გაუგონიათ მოწმეებს, და რომ მათ არ ახსოვდათ კონკრეტულად რას აკეთებდნენ სამი პიროვნების გაუჩინარების დღეს. მაგალითისათვის ქვემოთ მოყვანილია ერთ-ერთი მოწმის ჩვენების ჩანაწერი.

"ოსური წარმოშობის არც ერთ ადამიანს არ შევხვედრივარ და არც სამხედროებზე მსმენია რამე. არ შევხვედრივარ არც ერთ ქართველ სამხედროს ან პოლიციის ოფიცერს და არც არაფერი დამინახავს. აგრეთვე გიპასუხებთ, რომ არ დამინახავს, რომ ქართველ სამხედროებს გაეჩერებინათ ოსი ეროვნების სამოქალაქო პირები ან სხვა ეროვნების სამოქალაქო ან სამხედრო პირები. პოლიციის დეპარტამენტში არავინ მინახავს; აგრეთვე გპასუხობთ კითხვაზე, რომ არ ვიცნობ ალან ხაჩიევს, ალან კეგოევსა და რუსლან პლიევს [sic]. ასეთი სახელები და გვარები არასოდეს გამიგია. ასევე ვადასტურებ, რომ არ მახსოვს ზუსტად რას ვაკეთებდი 2008 წლის 13 ოქტომბერს მთელი დღის განმავლობაში".

კიდევ ერთი მოწმის ჩვენებაში ვკითხულობთ:

არ მახსოვს კერძოდ რას ვაკეთებდი ან სად ვიყავი 2008 წლის 13 ოქტომბერს, მაგრამ ალბათ მთელი დღე სახლში ვიყავი და გარეთ არ გავსულვარ, რადგან მხოლოდ სახლის საქმე მქონდა გასაკეთებელი. მაგ კითხვაზე შემიძლია გიპასუხოთ, რომ იმ პერიოდში არ შევხვედრივარ და არც მინახავს კამუფლიაჟის ფორმაში ან სამოქლაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ოსი ეროვნების ადამიანი, არც ის მინახავს და არც არავისგან გამიგონია, რომ იმ პერიოდში პოლიციამ ან ჯარისკაცებმა დააკავეს კამუფლიაჟის ფორმაში და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ოსი ეროვნების მოქალაქეები, არც ის მინახავს, რომ დაკავებული ოსები ან ქართველები პოლიციაში წაეყვანოთ, არც სხვისგან გამიგონია ამის მსგავსი რამ, რადგანაც, როგორც გითხარით, სულ სახლში ვარ."

ნაწყვეტში კიდევ ერთი მოწმის ჩვენებიდან ნათქვამია:

"თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე შემიძლია გიპასუხოთ, რომ 2008 წლის ოქტომბერში, კერძოდ 13 ოქტომბერს, და მის შემდეგ არ ვყოფილვარ გორის რაიონის სოფელ დისევსა და მის მიდამოებში, არც ჩვენს მიერ კონტროლირებად და არც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე – ეს იმას

[3] ალან ხუგაევის მამის, დავიტ ხუგაევის კუთვნილი ავტომანქანა "ლაგუნა-ბლუ" (მოლურჯო-მომწვანო) "ლადა" მოდელი VAZ-21099

ნიშნავს, რომ ომის დამთავრების შემდეგ სულ თბილისში ვიყავი. 2008 წლის 13 ოქტომბერს, სოფელ დისევთან მომხდარი ინციდენტის შესახებ არაფერი ვიცი. ასევე არ ვიცი იყვნენ თუ არა ოსი ან სხვა ეროვნების ადამიანები დაკავებულნი ქართველი სამართალდამცავების მიერ."

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამ უკანასკნელი განცხადების ბოლო წინადადება ნათლად მიანიშნებს, რომ ქართველი გამომძიებლები საქმის კურსში იყვნენ, რომ არსებობდა ვარაუდები ამ სამი პიროვნების დაკავებაში ქართველი სამართალდამცველების ჩარეულობის შესახებ.

11. მხოლოდ ერთ ჩვენებაში წერია, რომ დაკითხულმა მოწმემ იცოდა ოქტომბერში ალან ხაჩიროვის, ალან ხუგაევისა და სოლტან პლიევის გაუჩინარების შესახებ. მოწმე ამბობს, რომ 2008 წლის ზაფხულში მას დაუკავშირდა დავით ხუგაევი, ალან ხუგაევის მამა, და სთხოვა დახმარება სამი დაკარგული პირის ბედის გარკვევაში. მოწმის ჩვენების ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ მან სთქვა: "მე ავუხსენი, რომ თუ ისინი დააპატიმრეს, ცოცხლები უნდა იყვნენ. მე მას ვუთხარი, რომ ამის გარდა ვერაფრით დავეხმარებოდი და ვერც ვერაფერს გავარკვევდი მათთვის. [...] ვადასტურებ, რომ 2008 წლის ოქტომბერში სოფელში საერთოდ არ ჩავსულვარ. არაფერი ვიცი სამი ოსის დაპატიმრების და მათი შემდგომი ბედის შესახებ."

12. საქმის მასალები არ შეიცავდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აღმოაჩინეს ეს ოთხი მოწმე. არც იმის დეტალებია საქმეში, თუ როგორ და როდის დაამყარა მათთან კონტაქტი საგამოძიებო ორგანომ.[4] საქმის მასალებიდან ასევე გაუგებარია, თუ რატომ ჩამოერთვათ ჩვენებები ამ მოწმეებს მხოლოდ 2009 წლის ნოემბერში, ანუ გაუჩინარებიდან ერთ წელზე მეტის დროის გავლის შემდეგ.

13. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილი წერილები[5] შეიცავენ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოთხოვნას ან რეკომენდაციებს კონკრეტული საგამოძიებო ქმედებების ჩატარების თაობაზე. კერძოდ, GYLA-მ წამოჭრა რამდენიმე საკითხი: იყვნენ თუ არა ხაჩიროვი, ხუგაევი და პლიევი დაპატიმრებული ქართველი სამართალდამცავების მიერ; თუ ასეა, რის საფუძველზე და როდის; დაიწყო თუ არა სისხლის სამართლის გამოძიება ამ სამი ადამიანის გაუჩინარებაზე; თუ ასეა, დაესახელებინათ გამოძიებაზე პასიხისმგებელი ორგანო და დაეკონკრეტებინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლების საფუძველზე მიმდინარეობდა გამოძიება; კითხვები სოფლების კორკულას, ხელჩუასა და დისევის გარშემო განლაგებული ქართული სამხედრო, საპოლიციო ან სხვა სამთავრობო ძალების შესახებ; ატარებდნენ თუ არა სამთავრობო ძალები რაიმე სპეციალურ ოპერაციებს იმ მიდამოებში, რა ტიპის ოპერაციები იყო ეს და ჰქონდა თუ არა დაგილი დაჭერებს; რომელი სახელისუფლებო ორგანოები ხელმძღვანელობდნენ სპეციალურ ოპერაციებს, ტარდებოდა თუ არა ეს ოპერაციები შიდა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; თხოვნა, რომ ამ ოპერაციებში ჩართული ყველა პიროვნება ყოფილიყო დაკითხული;

[4] როდესაც ექსპერტებმა ამ საკითხის ახსნა-განმარტება მოითხოვეს, შიდა ქართლის რაიონულმა პროკურორმა გელა მამალაძემ უპასუხა რომ ინფორმაცია მიღებულია დამოუკიდებელი ჰუმანიტარული ორგანიზაციისაგან გორელი მაღალჩინოსანი სამართალდამცველის მეშვეობით.
[5] წერილები დათარიღებულია 2009 წლის 19 მარტით და 21 აპრილით

დაწყებულიყო დაკარგული პირების სამყოფელის დასადგენად იმ ადგილიდან, საიდანაც ისინი გაუჩინარდნენ; სოფელ კორკულასა და ხელჩუას მაცხოვრებელთა შორის პოტენციური მოწმეების დადგენა და დაკითხვა; დაკარგულების მიერ გამოყენებული მანქანის მოძებნა და მისი აღწერილობისა და სარეგისტრაციო ინფორმაციის შეტანა პოლიციის დაკარგული და გატაცებული მანქანების მონაცემთა ბაზაში; იმ ოფიცერთა ვინაობის დადგენა, რომლებმაც 2008 წლის 14 ოქტომბერს დააკავეს ლევ ტეხოვი და გარკვევა, თუ სად ჰყავდათ ის დაკავებული; და იმ ვიდეომასალის საექსპერტო ანალიზის ჩატარება, რომელზედაც სამი დაკარგული პიროვნებაა გამოსახული, რის შესახებაც წინასწარ ეცნობოს GYLA-ს ამ საკითხის გარშემო შემდგომი შეკითხვების მოსამზადებლად.

14. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ GYLA-ს მიერ დასმული კითხვები შეიცავს მთელ რიგ არსებით მოსაზრებებს სამი დაკარგული პირის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, რომლის საფუძველზეც გაგრძელდებოდა ყოველმხრივი ძიება. მაგრამ 2010 წლის 9 მარტისათვის საქმის მასალებში არ იყო ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა, რომ GYLA-ს კითხვებზე პასუხი იქნა გაცემული ან რომ რაიმე ზომები მაინც იქნა მიღებული GYLA-ს ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციების ან წინადადებების საპასუხოდ (მაგ. ვიდეოს საექსპერტო ანალიზი, მოცემულ რეგიონში განლაგებული სამხედრო და საპოლიციო ძალების დადგენა და ა.შ.)

15. 2010 წლის 17 მარტს ექსპერტებთან შეხვედრის დროს შიდა ქართლის რაიონულმა პროკურორმა აცნობა მათ, რომ საჭირო იყო დედების მიერ მიცემული მოწმეთა ჩვენებები, რათა გაგრძელებულიყო გამოძიება. ექსპერტებმა მაშინვე მიიღეს ზომები ამაში დასახმარებლად.

16. ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ალან ხაჩიროვის დედამ მისი შვილის გაუჩინარების შემდეგ წერილი გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს, სადაც ის ამტკიცებდა, რომ კონკრეტული პოლიციელი – წერილიში მითითებულია მისი ვინაობა – მონაწილეობდა მისი შვილისა და ორი დანარჩენი ახალგაზრდის დაპატიმრებაში.[6] ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ამ წერილის ასლი, ან რაიმე მინიშნება მისი არსებობის შესახებ საგამოძიებო საქმის მასალებში არ ფიგურირებდა.

"არაოფიციალური" გამოძიება

17. ექსპერტებს ასევე აცნობეს "არაოფიციალური" გამოძიების შესახებ, რომელიც ზემოაღნიშნულ ოფიციალურ სისხლის სამართლის გამოძიებას უძღოდა წინ. ამ არაოფიციალური გამოძიების რეზიუმე მოიპოვება შიდა ქართლის რაიონული პოლიციის განყოფილების უფროსის, პოდპოლკოვნიკ ვლადიმერ ჯუღელის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური დეპარტამენტის დიექტორის, ბატონი შოთა უტიაშვილის მისამართით გაგზავნილ წერილსა თუ მემორანდუმში.[7] ზემოხსენებულ დოკუმენტში ("არაოფიციალური გამოძიების ანგარიში")

[6] ამ წერილის შინაარსი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ განიხილა შიდა ქართლის რაიონული პოლიციის უფროსის მოადგილესთან, შალვა ტრამაკიძესთან ერთად 2009 წლის 17 ნოემბერს (იხ. ევროკავშირის მისიის გორის საველე ოფისის პატრულის 2009 წლის 17 ნოემბრის ანგარიში)

[7] დოკუმენტი ხელმოწერილია შიდა ქართლის პოლიციის უფროსის მიერ, თუმცა "არაოფიციალურ გამოძიებაზე" პასუხისმგებელი მისი მოადგილე იყო

მოყვანილია ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა 2008 წლის ნოემბერში რუსული ადმინისტრაციისაგან ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ არაოფიციალური გამოძიების ეს ანგარიში არ შესულა სისხლის სამართლის გამოძიების საქმის მასალებში, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი და არც მოხსენიებულია მასში რაიმე ფორმით.

18. არაოფიციალური გამოძიების ანგარიშის თანახმად, შიდა ქართლის პოლიციის ხელმძღვანელობა ერგნეთში შეხვდა რუსულ ადმინისტრაციას გაუჩინარების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ (დაახლოებით 2008 წლის ნოემბერში ან დეკემბერში). მითითებულია, რომ ამ შეხვედრას ესწრებოდნენ დაკარგული პირების მშობლებიც და რომ მათ ითხოვეს დახმარება შვილების პოვნაში, და რომ შიდა ქართლის პოლიციის ხელმძღვანელობამ სთხოვა ნათესავებს, მუდმივად მიეწოდებინათ მათთვის რუსული ადმინისტრაციისაგან მიღებული ყველა სიახლე. ამავე დროს ანგარიშში მითითებულია, რომ "იმის გამო, რომ ინციდენტი მოხდა რუსული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ჩვენ არ გვქონდა სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების საშუალება", "ოპერატიული სამძებრო ჯგუფი" შვიდი პოლიციელი დეტექტივის შემადგენლობით მაინც ჩამოყალიბდა "ხელისუფლების განკარგულებით" ამ საქმის გამოძიების მიზნით.

19. როგორც არაოფიციალური გამოძიების ანგარიშშია აღნიშნული, ოპერატიული სამძებრო ჯგუფის მიერ გადადგმული ნაბიჯები მდგომარეობდა შემდეგში: დაკარგული პირების ფოტოების გავრცელება პოლიციის ყველა განყოფილებაში და მანქანის შესახებ მონაცემების გადაცემა საპატრულო პოლიციისათვის; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პოლიციის ყველა განყოფილებისათვის საავადმყოფოების მიმღები განყოფილებების სარეგისტრაციო ჟურნალების ჩანაწერებში დაკარგული პირების მონაცემების მოძებნის დავალების გაცემა და მანქანის დაყენების წესების დარღვევის შესახებ ინფორმაციის შემოწმება დაკარგული მანქანის ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით; სოფლების მერეთისა და დიცის მოსახლეობის 85 პროცენტის დაკითხვა;[8] ციხეებისა და წინასწარი დაკავების იზოლიატორებში ძებნა, დაკარგულთა ნათესავების სურვილის შესაბამისად, კასპისა და ქარელის რაიონების (თავისუფლების აღკვეთის) რამდენიმე ადგილის, ასევე თბილისის გლდანის რაიონში მდებარე ციხის შემოწმება. ანგარიშში ნათქვამია, რომ ამ ნაბიჯებმა შედეგი არ გამოიღო.

20. არაოფიციალური გამოძიების ანგარიშში შემდგომ ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც 2009 წლის აპრილის ბოლოს ვებ გვერდზე www.osinform.ru დაიდო დაკარგული პირების ამსახველი ვიდეო მასალა, შედგა კიდევ ერთი შეხვედრა რუსი და ქართველი წარმომადგენლების და, აგრეთვე, დაკარგულთა ნათესავების მონაწილეობით. ანგარიშის თანახმად "შედგა საგამოძიებო ჯგუფი ვიდეომასალისა და პოლიციის იმ ოფიცერთა საუბრების ჩანაწერების საექსპერტო ანალიზის ჩასატარებლად, რომლებიც კორკულასა და ხელჩუასთან ახლოს მდებარე საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე მუშაობდნენ იმ დროს"

[8] შიდა ქართლის პოლიციის უფროსის მოადგილემ ექსპერტებს აცნობა, რომ იგი ამ საკითხზე პირადად ესაუბრა 5000 ადამიანს.

21. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ შიდა ქართლის პოლიციის ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი შეფასება: "ვიდეოზე აღბეჭდილი გამომძიებელი ოსი ეროვნების უნდა იყოს. და ყოველივე ამის შემდეგ ოსური მხარე ჩვენ გვდებს ბრალს ამ ხალხის ციხეებში გამოკეტვასა ან უმოქმედობაში". ოსური მხარის იმ ბრალდების საპასუხოდ, თითქოს დაკარგული პირები მერეთის ან დიცის პოლიციის განყოფილებებში იყვნენ ჩამწყვდეულნი, ანგარიშში აღნიშნულია, რომ "ეს ბრალდება არ შეიძლება სინამდვილეს შეესაბამებოდეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ 2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერში არც დიცის და არც მერეთის პოლიციის განყოფილება არ არსებობდა. ეს განყოფილებები ჩვენს მხარეს გადმოეცა და ჩვენვე გავარემონტეთ 2009 წლის იანვარში."

22. ამავე დროს, საერთაშორისო დამკვირვებელთა, მათ შორის ევროკავშირის სადამკვირვებლო და ეუთოს მისიების 2008 წლის ოქტომბრის პერიოდის ამსახველი ანგარიშები შეიცავს საგრძნობი მოცულობის დეტალურ მასალას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს წინა ციტატის სისწორეს (იხ. ქვემოთ 25, 26, 27 აბზაცები და სქოლიო 10 და 11).

23. არაოფიციალური გამოძიების ანგარიში ასკვნის, რომ, თუმცა, შიდა ქართლის პოლიციის ხელმძღვანელობა მზად იყო გადაემოწმებინა რუსული ან ოსური მხარეების მიერ მოწოდებული ნებისმიერი ახალი ინფორმაცია, "პლიევი, ხუგაევი და ხაჩიროვი, ისევე როგორც მათი მანქანა VAZ 21099 არ იმყოფებიან და არც არასდროს ყოფილან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე".

ექსპერტების მიერ სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია

<u>საერთაშორისო დამკვირვებელთა ანგარიშები</u>

24. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (EUMM)[9] ეცნობა დაკარგული ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის საქმის შესახებ. EUMM –მა სამი დაკარგული პირის სურათები დაუგზავნა საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებს და აქტიურად ცდილობდა ამ საკითხის გარკვევას, რისთვისაც გამოითხოვა ინფორმაცია ქართული, რუსული და დე ფაქტო ოსური ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან.

25. EUMM –ის პატრულის ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ყოფილი "ბუფერული ზონიდან" რუსული ძალების გაყვანის შემდეგ ადმინისტრაციული საზღვრის ზოლის გასწვრივ ქართული პოლიციური ძალების მნიშვნელოვანი გადაადგილება შეიმჩნეოდა. კერძოდ, პატრულის 2008 წლის ოქტომბრის ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ამ დროს ჩვენთვის საინტერესო რაიონში, სოფლებში - დიცი, კოშკა და მერეთი არსებობდა პოლიციის განყოფილებები და პოლიციის საკონტროლო-გამშვები პუნქტები და მოცემულია მათი GPS კოორდინატები; ეს კოორდინატები დიდწილად

[9] EUMM-ის მანდატი ითვალისწინებს სტაბილიზაციისათვის ხელშეწყობას, სიტუაციის მონიტორინგს, ანალიზსა და ანგარიშის მოწოდების სტაბილიზაციის პროცესის თანმდევი სიტუაციის შესახებ, რომელიც ძირითადად ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულებას, მათ შორის ჯარების გაყვანას გულისხმობს; გადაადგილების თავისუფლების, ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევის მონიტორინგს. EUMM არის შეუიარაღებელი სადამკვირვებლო მისია აღმასრულებელი უფლებამოსილების გარეშე და მისი მანდატი არ ითვალისწინებს EUMM-ის მონიტორების მიერ გამოძიების ჩატარებას.

ემთხვევა ექსპერტების მიერ უფრო მოგვიანებით აღრიცხულ მონაცემებს. ამ საკონტროლო-გამშვები პუნქტებისა და პოლიციის განყოფილებების თანამშრომლებზე ნათქვამია, რომ ისინი აცნობებენ EUMM-ის თანამშრომლებს სხვადასხვა ინციდენტების შესახებ, როგორიცაა სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებელთა დაპატიმრება, შეურაცხყოფა და დანაშაული, ჩადენილი ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ, ასევე რუსების ან ოსების მხრიდან განხორციელებულ ღამის თავდასხმებზე მათ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე.

26. EUMM-ის პატრულის ანგარიშები ასევე შეიცავს ამ პუნქტების ხელმძღვანელი პოლიციის ოფიცრების გვარებს. მაგალითად EUMM –ის 2008 წლის 9 ოქტომბრის ანგარიშში მოხსენიებულია ვიზიტი მერეთის ქართული პოლიციის განყოფილებაში, იქვე დაფიქსირებულია პასუხისმგებელი ოფიცრის გვარი და სახელი და ციტირებულია მისი ნათქვამი, რომ იქ იმყოფება სპეცდანიშნულების პოლიციის 17 და რეგულარული პოლიციის 8 ოფიცერი. იმავე მოხსენებაში ნათქვამია დიცის ქართული პოლიციის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ვიზიტის შესახებ, სადაც იმყოფებოდა პოლიციის რვა ოფიცერი და სპეცდანიშნულების პოლიციის ცხრა ოფიცერი. იქვე აღნიშნულია, რომ პასუხისმგებელმა პოლიციელმა აცნობა EUMM-ს წინა საღამოს (2008 წლის 8 ოქტომბერი) ხუთი ოსის დაპატიმრებისა და გორში მათი შემდგომი ტრანსპორტირების შესახებ, სადაც მათ წაეყენებოდათ ძარცვის ბრალდება. EUMM-ის მეორე პატრულის ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2008 წლის 20 ოქტომბერს იქ სხვა პაუხისმგებელი ოფიცერი იყო, იმ დღეს სულ 20 ოფიცერი იმყოფებოდა, მათ შორის 10 რეგულარული პოლიციისა და ათი სპეცდანიშნულების პოლიციის ოფიცერი. ეს ინფორმაცია, როგორც ადვილი მისახვედრია, ეწინააღმდეგება არაოფიციალური გამოძიების ანგარიშში არსებულ მტკიცებას (იხ. ზემოთ, პუნქტი 21), ისევე, როგორც ექსპერტებთან შეხვედრის დროს გაკეთებულ, ზოგიერთი ქართველი მოხელის არაერთ განცხადებას იმის თაობაზე, რომ 2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მერეთსა და დიცში პლიციის განყოფილებები არ არსებობდა.[10]

27. ექსპერტებს ასევე საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის (ეუთო) მისიის ყოველდღიური პატრულირებისა და ყოველკვირეული საქმიანობის ანგარიშებს და ინტერესით გაეცნენ 2008 წლის 14 ოქტომბრის პატრულის ანგარიშის შესავალს, რომელიც შეეხებოდა "ყოფილ [შერეული სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის] ცენტრალურ ტერიტორიას" ანუ გორის, დიცის, არბოს, მერეთის და ტყვიავის ტერიტორიას: "დიცი: პატრულმა შენიშნა პოლიციის ახალი საკონტროლო-გამშვები პუნქტის არსებობა ტირძნისი-დიცის გზაზე [..]. **პატრულს პოლიციამ აცნობა, რომ 13 ოქტომბერს სამი შეიარაღებული ოსი მამაკაცი დააკავეს დიცევში** [sic] **და გადაიყვანეს გორში** (ხაზგასმა

[10] ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ნაწყვეტი EUMM –ის პატრულის 2009 წლის 21 აპრილის მოხსენებიდან: "[მერეთში], ჩვენ დავუკავშირდით ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რომლებმაც შეგვატყობინეს, რომ წინა წელს წარმოქმნილ კონფლიქტამდე მერეთში მოქმედი პოლიცია განლაგებული იყო ქურთასა და ერედვში, რომლებიც ახლა სამხრეთ ოსეთის მხარესაა. კონფლიქტის განმავლობაში იქაური ყველა პოლიციელი შეიკრიბა თბილისში. მერე, 2008 წლის 10 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც რუსული ჯარები გავიდნენ [...] ერთ ძველ სახლში, რომელიც შემდეგ გაარემონტეს, დაისადგურა მერეთის პოლიციის განყოფილებამ. მოკლედ, მერეთში არასდროს არსებობდა ყოფილი პოლიციის განყოფილების შენობა, არსებობს მხოლოდ ეხლანდელი პოლიციის განყოფილების შენობა.

ჩამატებულია).” მათ ხელთ არსებული ყველა ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ აქ პირდაპირი მინიშნებაა ხაჩიროვზე, ხუგაევზე და პლიევზე.[11]

გასაუბრება დაკარგულების ნათესავებთან და სხვა მოწმეებთან

28. ექსპერტები გაესაუბრნენ სამი დაკარგული პირის ნათესავებს და რამდენიმე სხვა მოწმეს შესაბამის რაიონში. მათი განცხადებებიდან გამომდინარე, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 2008 წლის 13 ოქტომბერს ალან ხაჩიროვი, ალან ხუგაევი და სოლტან პლიევი გავიდნენ თავისი სახლებიდან. დაახლოებით დილის 10 საათზე ხაჩიროვის მეგობრებმა დაინახეს, თუ როგორ ჯდებოდა იგი მომწვანო-მოლურჯო ფერის “ლადაში” (მოდელი VAZ-21099), რომელიც ეკუთვნის ალან ხუგაევის მამას, დავით ხუგაევს. ალან ხუგაევის მშობლების თქმით, მათი შვილი აპირებდა თავის ბაბუასთან წასვლას სოფელ ქვემო მახისში. ნორმალურ პირობებში ეს გზა აქეთ-იქით ხუთ საათში შეიძლება დაიფაროს. სადღაც დილის 11-დან 12 საათამდე პერიოდში დაინახეს, რომ აღნიშნული მანქანა მოძრაობდა აღმოსავლეთის მიმართულებით, სოფელ ხელჩუას გავლით დისევისკენ. მანქანას ხუგაევი მართავდა. ადგილობრივმა ოსმა მაცხოვრებლებმა, რომლებმაც დაინახეს, თუ როგორ გაიარა ამ სამმა პიროვნებამ სოფელი ხელჩუა, მოახსენეს ექსპერტებს იმის შესახებ, რომ 2008 წლის ოქტომბერში ამ რაიონში უსაფრთხოება ძალიან სუსტად იყო დაცული და დაამატეს, რომ თავად ისინი იმ დროს ასეთი მოგზაურობისაგან თავს შეიკავებდნენ.

29. მოგვიანებით იმავე დღეს, 1 და 3 საათს შორის პერიოდში, დაინახეს იგივე მანქანა, რომელიც საპირისპირო მიმართულებით მოძრაობდა, კორკულადან კოშკასა და დისევისაკენ. ერთ-ერთი მოწმე აცხადებს, რომ კორკულასთან ახლოს დაინახა მანქანასთან მდგომი ეს ახალგაზრდები. მოწმე იხსენებს, რომ თვითეულ მათგანს კალაშნიკოვის თოფი ეჭირა. მცირე საუბრის შემდგომ მანქანა და მისი მგზავრები გაემართნენ სოფელ დისევისაკენ.

30. დაკარგული სამი პირის მშობლებმა მიაწოდეს ექსპერტებს გარკვეული ინფორმაცია, რომლის მოწმენიც ისინი უშუალოდ არ ყოფილან, მაგრამ რომლის შესახებაც სხვებისგან ჰქონდათ გაგონილი. მათ მიერ არაპირდაპირი გზით მოპოვებული ინფორმაცია შეიცავდა მტკიცებებს მათი შვილების დაკავებასა და დაპატიმრებაში ქართული პოლიციის მოქმედი ოფიცრების მონაწილეობის შესახებ. ერთ-ერთი პოლიციელი, რომელიც ნათესავებმა დაასახელეს, ადრე მსახურობდა და ცხოვრობდა ქურთას რაიონში, ცხინვალის ჩრდილოეთით. ეს ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დაწყებამდე ქართული მხარე აკონტროლებდა და რომელიც მთლიანად განადგურდა[12].

[11] უფრო მეტიც, ექსპერტებმა შენიშნეს, რომ ეუთოს ყოველდღიური პატრულის შემდგომი, 18-19 ოქტომბრის ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების პოლიციის რაიონული შტაბის უფროსის მოადგილემ მთლიანად დაუდასტურა ეუთო-ს პატრულის წევრებს “ეუთო-ს ანგარიშში არსებული ინფორმაცია არბო/მერეთის ტერიტორიასთან დაკავშირებით.”

[12] საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, (IIFFMCG, რომელიც ხშირად “ტალიავინის ანგარიშად” მოიხსენიება მისი ხელმძღვანელის, ელჩის ჰეიდი ტალიავინის სახელის მიხედვით) სხვა დასკვნებთან ერთად, შეიცავს დასკვნას იმის შესახებ, რომ მრავალი ელემენტი მიანიშნებს

31. 2010 წლის 25 მარტს სამი დაკარგულის ნათესავები ჩავიდნენ პროკურორთან გორში, სადაც მათ გაიმეორეს ადრე ექსპერტებისათვის მიწოდებული ინფორმაცია.

ვიდეო მასალა

32. როგორც უკვე აღინიშნა, 2009 წლის მარტში თუ აპრილში ინტერნეტით გავრცელდა ვიდეო მასალა, სადაც ალან ხაჩიროვი, ალან ხუგაევი და სოლტან პლიევი არიან გამოსახულნი პატიმრობის ან ტყვეობის ვითარებაში, და სავარაუდოდ დაშინებისა და ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით იკითხებოდნენ. გამოკითხვებით ირკვევა, რომ ვიდეომასალა თავდაპირველად "Myvideo.ge" ვებ გვერდზე დადო ვიღაცამ, რომელიც "კმაც" ფსევდონიმით სარგებლობდა. ექსპერტების აზრით, თავისთავად ცხადია, რომ ამ ვიდეო მასალის ტექსტის გაშიფვრა და მისი წარმომავლობის შესწავლა და გაანალიზება სასისოცხლოდ აუცილებელია სამი დაკარგული პირის გაუჩინარების საქმის დამაჯერებელი გამოძიებისათვის.

33. როდესაც ექსპერტები პირველად გაეცნენ სამი დაკარგული პირის უკანონო დაპატიმრებაზე სისხლის სამართლის გამოძიების საქმის მასალებს (2010 წლის 9 მარტი), საქმეში არ იდო ვიდეო მასალის გაშიფრული ტექსტი, ისევე როგორც არ იყო იმის ანალიზი, თუ სად გამოქვეყნდა პირველად აღნიშნული ვიდეო მასალა. 2010 წლის 22 აპრილს საქართველოს პროკურატურიდან ექსპერტებს აცნობეს, რომ ვიდეო მასალა მუშავდებოდა ხმაურის შემცირების მიზნით, რასაც დაახლოებით ორი კვირა დასჭირდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი ტექსტის გაშიფვრა. ასეა თუ ისე, საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს 2010 წლის 18 მაისამდე არ გაუშიფრიათ ვიდეომასალა, რომელიც მათი ყურადღების არეალში 2009 წლის აპრილში მოხვდა. ნათელია, რომ გამოძიების ამ ასპექტის ჩატარების მანერას არ შეიძლება ეწოდოს ეფექტური და მარდი.

34. 2010 წლის ივნისში, ერთ-ერთ ექსპერტს საქართველოს ხელისუფლებამ ნება დართო გასცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომელშიც შესული იყო ვიდეოსთან დაკავშირებული დოკუმენტის სასამართლო ექსპერტიზის შედეგი. ქვემოთ ციტირებულია ამ დოკუმენტის ორი მნიშვნელოვანი, თუმცა რამდენადმე ურთიერთგამომრიცხავი ნაწყვეტი: *"იმ ნაწილებში, სადაც ფონოგრამა მკაფიოა, არის გამოკვეთილი ინტონაცია, საუბრის თანმიმდევრობა, კითხვა-პასუხი კონტექსტში ჯდება. აკუსტიკური ხარვეზები ზომიერია, ფონოგრამის მოსმენისას დაჭრის კვალი არ შეინიშნება."* და შემდგომ: *"ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ჩანაწერი არ არის თავდაპირველი და მასში ციფრული დამუშავების*

სამხრეთ ოსეთში ქართველების წინააღმდეგ ეთნოწმენდის ჩატარებაზე როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს, ისე მის შემდეგაც და იქვე აღნიშნავს, რომ ქურთა ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, რომლებიც მთლიანად გადაწვეს და იქ მოსახლეობა აღარ არსებობს. იხ. აგრეთვე საქართველო-რუსეთის ომის ჰუმანიტარული შედეგებზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მიგრაციის, ლტოლვილთა და მოსახლეობის კომიტეტის მომხსენებლის, კორიენ ჯონკერის ანგარიშის პუნქტი 27, რომელშიც აღნიშნულია, რომ ერედვი ცხინვალის აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთი დანგრეული სოფელთაგანია, სადაც ადრე ეთნიკური ქართველები ცხოვრობდნენ. როგორც მე-10 სქოლიოშია აღნიშნული, მერეთში რუსული ჯარბის გაყვანის შემდეგ განლაგებული პოლიციის ოფიცრების ერთი ნაწილი ქურთისა და ერედვის მაცხოვრებლები არიან.

შედეგად შეტანილია ცვლილებები და დამატებები. დაფიქსირდა სამი ძირითადი ცვლილება ფონოგრამის ფაზაში და ფონის უფრო დაბალ სიხშირეში."[13] ამ პუნქტთან დაკავშირებით შემდგომი ანალიზი ან კომენტარი არ არის.

35. ექსპერტების მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, პიროვნებებისათვის, რომლებიც ვიდეოში ხაჩიროვს, ხუგაევსა და პლიევს ჰკითხავდნენ, ქართული ენა მშობლიური უნდა იყოს. ექსპერტებისათვის არ არის დამაჯერებელი ის მტკიცება, თითქოს დაკითხვის მწარმოებელი პირები ოსები არიან. ისმის, თუ როგორ ამბობს ერთ-ერთი დამკითხავი ქართულად, აშკარად ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის შესახებ, რომ მათ "უკვე [უწმაწურობა] ჩვენი ბიჭები", რაშიც, სავარუდოდ, იგულისხმება დაპირისპირებული ძალების მიერ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები.

36. სოლტან პლიევის მამამ, რომელსაც თავადაც სოლტან (როსტიკ) პლიევი ჰქვია, ერთ-ერთ ექსპერტთან საუბარში მიუთითა, რომ მან ვიდეოზე ამოიცნო ერთ-ერთი დამკითხავის ხმა. ეს ინფორმაცია ექსპერტმა გადასცა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს.

<u>საუბრები ქართული სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან</u>

37. ექსპერტები დაკარგული ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის საქმეზე ესაუბრნენ ქართული სამართალდამცავი ორგანოების მრავალ წარმომადგენელს სხვადასხვა დონეზე, მათ შორის სპეცდანიშნულების პოლიციის ოფიცრებს შიდა ქართლის რეგიონში. ექსპერტები გააოცა იმ ფაქტმა, რომ შიდა ქართლის პოლიციის უფროსისა და მისი მოადგილის გარდა, ყველა თანამშრომელმა განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ ნანახი დაკარგული პირების ფოტოები, და რომ მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ამ საქმეზე, და რომ მხოლოდ გაგონილი აქვთ ინტერნეტ ვიდეოს შესახებ. მაღალი რანგის ოფიცერმა, რომელიც ზემოაღნიშნულ რაიონში 2008 წლის ოქტომბერში სპეცდანიშნულების ძალების მოქმედებაზე იყო პასუხისმგებელი, განაცხადა (2010 წლის 2 მარტს), რომ მას საერთოდ არაფერი სმენია ამ საქმის შესახებ, ხოლო სპეცდანიშნულების ძალების მეორე ოფიცერმა, რომელსაც 2008 წლის ოქტომბერში აგრეთვე ეკისრებოდა პასუხისმგებლობა იმ რეგიონზე, აღნიშნა (2010 წლის 8 აპრილს), რომ ამ საქმის შესახებ მან მხოლოდ რამდენიმე ხნის წინ გაიგო ტელევიზიიდან.[14]

38. ექსპერტებს სერიოზულად ეპარებათ ეჭვი აღნიშნულ რაიონში 2008 წლის ოქტომბერში ქართული საპოლიციო ძალების განლაგების შესახებ სხვადასხვა ქართველი მაღალჩინოსანი პოლიციელისგან მოპოვებული ინფორმაციის სისწორეში. ზოგიერთი მათგანი უარყოფდა ადმინისტრაციული საზღვრის ზოლის გასწვრივ რამდენადმე მნიშვნელოვანი ქართული საპოლიციო ძალების განლაგებას, თუმცა საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი უამრავი არგუმენტი არსებობს, მათ შორის საერთაშორისო

[13] ეროვნული სასამართლო ექსპერტიზის ბიურო. 'დასკვნა № 5631/02/6 ფონოსონური და გამოსახულების ექსპერტიზის თაობაზე'. 2010 წლის 18 მაისი. გვ. 4.

[14] საქართველოს სელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს 2010 წლის 19 აპრილს ექსპერტებს ეცნობათ, რომ სამი დაკარგული პირის ფოტოები გამოკიდებული იყო კასპის, ქარელისა და გორის პოლიციის განყოფილებებში (იხ. აგრეთვე ზემოთ სქოლიო 19).

დამკვირვებელთა[15] მაშინდელი ანგარიშები და, რა თქმა უნდა, თვით ქართული ხელისუფლების 2008 წლის ოქტომბრის საჯარო განცხადებები ყოფილ "ბუფერულ ზონაზე" კონტროლის გამყარების შესახებ. ამასთან ერთად, ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თვით ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლება ხალხის დაჭერის სერიებს ანხორციელებდა ადმინისტრაციული საზღვრის ზოლის გასწვრივ 2008 წლის ოქტომბერში აუცილებლად გულისხმობს პოლიციისა და უშიშროების სხვა ძალების საგრძნობი რაოდენობის არსებობას შესაბამის რაიონში.

39. 2008 წლის ოქტომბერში პოლიციის ძალების განლაგების თაობაზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ექსპერტებისათვის მიწოდებული მონაცემების განსხვავებულობა ამ ინფორმაციის არასანდოობის მიმანიშნებელია. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმაციით, პოლიციის განყოფილებები და საკონტროლო-გამშვები პუნქტები არ ფუნქციონირებდა, პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები განლაგებული იყო კარალეთში და ისინი კონკრეტული დავალების გარეშე სხვა რაიონებში არ შედიოდნენ. ზოგიერთმა პოლიციელმა ჩინოსანმა განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის იანვრამდე არავითარი საპოლიციო ქმედებები არ ხორციელდებოდა. ეს სწორედ ის პერიოდია, რომელზედაც ითქვა, რომ დიცში, მერეთსა და ადმინისტრაციული საზღვრის ზოლის მიმდებარე სხვა ადგილებში გაიხსნა პოლიციის განყოფილებები. კიდევ ერთი განცხადებით, 2009 წლის იანვრამდე ამ ადგილებში ქართული პოლიცია იყო, მაგრამ მას იარაღი არ გააჩნდა. შემდგომში ექსპერტებს უთხრეს, რომ პოლიციის განყოფილებები და საკონტროლო-გამშვები პუნქტები სინამდვილეში ნაწილობრივ ფუნქციონირებდა, მაგრამ მხოლოდ დღის განმავლობაში, და რომ თვითეულს მხოლოდ ერთი მანქანა ემსახურებოდა. გარდა ამისა, მათ უთხრეს, რომ პოლიციის განყოფილებას, რომელიც – კონფლიქტის დაწყებამდე – ქურთაში (ცხინვალის ახლოს, საიდანაც გაყარეს ქართული მოსახლეობა) იყო განლაგებული, არ დაუწყია მუშაობა დიცსა და ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სხვა ადგილებში 2009 წლის იანვრამდე, ხოლო 2008 წლის შემოდგომის პერიოდში ამ ადგილებზე იგზავნებოდნენ გორის პოლიციის თანამშრომლები. ერთ-ერთმა ოფიცერმა განაცხადა, რომ არ ახსოვდა სად იყო მიმაგრებული 2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის იანვრამდე პერიოდში, მაშინ, როდესაც საერთაშორისო დამკვირვებელთა ანგარიშები ამ საკითხე კონკრეტულ დეტალებს შეიცავს. უფრო მეტიც, აღნიშნული ოფიცერი, რომელიც იმ რაიონის ერთ-ერთ სოფელზე იყო მიმაგრებული, ამტკიცებდა რომ არ იცოდა ვინ იყო მილიციის უფროსი მის ჩასვლამდე, ანუ 2009 წლის იანვრამდე. მეორე ოფიცერმა, რომელზედაც EUMM-ის იმდროინდელ ანგარიშებში ნათქვამია, რომ ის კონკრეტულ ადგილზე იყო მიმაგრებული, ასევე უარყო ეს ფაქტი, როდესაც ექსპერტების სახელით მას თავისი უფროსი დაუკავშირდა.

40. შიდა ქართლის პოლიციის ხელმძღვანელობამ ექსპერტებთან საუბარში ორი შესაძლო სცენარი ჩამოაყალიბა ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარებასთან დაკავშირებით: რომ ეს სამი პიროვნება შემთხვევით მოკლეს ან ტყვედ აიყვანეს რუსულმა ან სამხრეთ ოსეთის ძალებმა იმ ფაქტის გამო, რომ მათ შესაძლებელია ეცვათ ქართული სამხედრო ფორმა; ან მოკლეს ადგილობრივმა სოფლელებმა, რომლებსაც სურდათ შური ეძიათ, სამაგიერო გადაეხადათ ან ხელი შეეშალათ ძარცვისათვის. ექსპერტებს

[15] იხ. ზემოთ პუნქტები 25, 26, 27

მიაჩნიათ, რომ პირველი სცენარი საფუძველს მოკლებულია, რადგანაც მანქანას, რომლითაც ეს სამი პიროვნება მოძრაობდა, რუსული სანომრე ნიშნები ჰქონდა და მათზე აღნიშნული იყო, რომ მანქანა სამხრეთ ოსეთში იყო რეგისტრირებული; გარდა ამისა, იმ რაიონში ბევრმა იცოდა, რომ მანქანა ალან ხუგაევის მამას - დავით ხუგაევს, ეკუთვნოდა. ექსპერტების აზრით, მეორე სცენარი მეტად უძლებს გამოცდას, თუმცა ამავე დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არსებობს ძალიან ძლიერი სიტუაციური არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ ეს სამი პიროვნება დააპატიმრეს ქართველმა სამართალდამცველებმა 2008 წლის 13 ოქტომბერს.

41. ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარების გარემოებებზე შუქის მოსაფენად ექსპერტებმა დაწვრილებით შეისწავლეს არსებული ინფორმაცია იმავე დროსა და იმავე რაიონში მომხდარი სხვა ინციდენტების შესახებ. მათ დაადგინეს, რომ აღნიშნულ რაიონში 2008 წლის 10 – 15 ოქტომბერს რამდენიმე ადამიანი იყო დაპატიმრებული. მაგალითისათვის, 2008 წლის 14 ოქტომბერს ლევ ტეხოვი და ოლეგ გიგოლაევი[16] მოძრაობდნენ გზის იმავე მონაკვეთზე, სადაც წინა დღეს შემჩნეულნი იყვნენ ხაჩიროვი, ხუგაევი და პლიევი. დისევისაკენ მიმავალ გზაზე ტეხოვი და გიგოლაევი გააჩერეს და დააპატიმრეს ქართველმა ოფიცრებმა დისევისა და კოშკას მახლობლად ხეხილის ბაღებით დაფარულ მიდამოებში.

42. ლევ ტეხოვის მტკიცებით, ის და გიგოლაევი გააჩერა დიდი რაოდენობის ხალხმა, რომლებიც ქართული სპეცდანიშნულების პოლიციის ოფიცრები აღმოჩნდნენ და მიტოვებულ შენობაში მოკლევადიანი პატიმრობის შემდეგ ფეხით გაუყენეს ახლომდებარე სოფელ კოშკას გზას. ლევ ტეხოვის თქმით, ისინი მანქანით წაიყვანეს სოფლების კოშკას, მერეთის, არბოსა და კორდის გავლით დიცის მიმართულებით, და ის შიშობდა, რომ მათ იქ დახოცავდნენ. შიში გამომდინარეობდა იმ მუქარის შემცველი გამონათქვამებიდან, რომელიც პოლიციელებისაგან გაისმოდა, რომელთაც, თითქოს, მაყუჩიანი იარაღი ჰქონდათ. ლევ ტეხოვის მტკიცებით, ერთ-ერთ ოფიცერს ამ დროს დაურეკეს ტელეფონზე და ამის შემდეგ ისინი წაიყვანეს გორის მიმართულებით; მგზავრობის ამ მონაკვეთში ოფიცრები მას და გიგოლაევს კორექტულად ეპყრობოდნენ. გორში ეს ორი პიროვნება დაკითხეს ქართველმა პოლიციელებმა. იმავე ღამეს ისინი წაიყვანეს კოშკას მიმართულებით და იქ გაათავისუფლეს.

43. EUMM-ის ანგარიშებიდან გამომდინარეობს, რომ ლევ ტეხოვისა და ოლეგ გიგოლაევის დაპატიმრების დღეს (2008 წლის 14 ოქტომბერი), დაახლოებით 2 საათზე, სამი ეთნიკური ქართველი – ერთი ოჯახის წარმომადგენელი ორი კაცი და ერთი ქალი - გაიტაცეს მაშინ, როცა ისინი თავის ყანაში მუშაობდნენ. მათი გამტაცებლები დაახლოებით 10 შეიარაღებული ოსი იყო, რომლებმაც როგორც ამბობენ, სცემეს გატაცებულები და გადაიყვანეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული საზღვრის ზოლის გადაღმა. საქართველოს პოლიციამ ამ ფაქტის შესახებ შეატყობინა რუსულ ძალებს სამხრეთ ოსეთში და რუსების ჩარევის შემდეგ ათიდან ორი გამტაცებელი დააპატიმრეს. უფრო მეტიც, როგორც ჩანს ემზადებოდნენ სამი გატაცებული ქართველის გასანთავისუფლებლად, როდესაც იმავე დღეს,

[16] ეს პირები ეთნიკური ოსები არიან. ოლეგ გიგოლაევს სნაიპერის ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე რამდენიმე კვირის შემდეგ, 2008 წლის 5 ნოემბერს სოფელ კურკულასთან, ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს

დაახლოებით დღის 4 საათზე EUMM-ის პატრული ჩავიდა კოშკაში და შეამჩნია იქ 20 ქართველი პოლიციელი და ორი რუსი სამხედრო. ტყვეობაში ყოფნის მოკლე დროის განმავლობაში სამი ქართველი, სავარაუდოდ, ესაუბრა პაველ ტეხოვს, ლევ ტეხოვის უმცროს ძმას.[17]

44. ქართველმა სამართალდამცველებმა დაუდასტურეს ექსპერტებს, რომ ლევ ტეხოვი და ოლეგ გიგოლაევი დაპატიმრებულები იყვნენ სოფელ კოშკასთან და რომ ისინი გადაიყვანეს გორში, ხოლო მოგვიანებით გაანთავისუფლეს კოშკასთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლს მიღმა. ამავე დროს მათ აღნიშნეს, რომ ტეხოვი და გიგოლაევი მხოლოდ ოთხმა პოლიციელმა დააკავა, და რომ ისინი ჩვეულებრივი პოლიციის ოფიცრები იყვნენ და არა სპეცდანიშნულების პოლიციის. გარდა ამისა, სამართალდამცველებმა აღნიშნეს, რომ ტეხოვი და გიგოლაევი კოშკადან პირდაპირ გორში გადაიყვანეს, ყოვლეგვარი გადახვევებისა და გაჩერებების გარეშე.

45. მიუხედავად ქართველი მოხელეების მიერ ლევ ტეხოვისა და ოლეგ გიგოლაევისათვის თავისუფლების აღკვეთის ფაქტის ცნობისა, ექსპერტები საგონებელში ჩააგდო იმან, რომ ეს ფაქტი არ იყო დაფიქსირებული ქართული პოლიციის 2008 წლის ოქტომბრის არც ერთ დოსიეში.

ექსპერტთა მიერ მუშაობის პროცესში გადადგმული შემდგომი ნაბიჯები და მომდევნო ქმედებები

46. ექსპერტთა უფლებამოსილების ფარგლებით განსაზღვრული იყო, რომ ისინი მონიტორინგს გაუწევდნენ გამოძიების მსვლელობას და დაეხმარებოდნენ შესაბამის სტრუქტურებს დაკარგული პირების საქმეების გარკვევაში, მათ შორის მეთოდოლოგიური და გამოძიების გაგრძელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაწევის გზით. მომდევნო პუნქტებში რეზიუმირებულია საქართველოში მუშაობისას ექსპერტების მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის შეთავაზებული წინადადებები და რეკომენდაციები დაკარგული ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით და ქართული ხელისუფლების მიერ შემდგომ მიღებული ზომები. აქვე რეზიუმირებულია ექსპერტების მიერ რუსული ხელისუფლებისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ომბუდსმენისათვის მიცემული წინადადებები და რეკომენდაციები და თუ რა ზომები იქნა შემდგომში მიღებული. ექსპერტებმა საკუთარი რეკომენდაციები განიხილეს უშუალოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ისევე როგორც, შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ომბუდსმენთან და რუსეთის მოხელეებთან ერთად. ექსპერტთა ზოგიერთი რეკომენდაციაზე კიდევ ერთხელ იყო მინიშნებული ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივ წარმომადგელობისადმი ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ გაგზავნილ, 2010 წლის 21 მაისით დათარიღებულ წერილში.

[17] ექსპერტების საუბარი პაველ ტეხოვთან 2010 წლის 6 და 23 მარტს. პაველ ტეხოვი თავად იყო დაპატიმრებული მეორე დღეს კოშკას ქართულ საპატრულო-გამშვებ პუნქტზე, როგორც ჩანს წარმოშობით ქურთელი სპეცდანიშნულების პოლიციის (მისი სიტყვებით "სპეცნაზი") ოფიცრების მიერ. ქურთა ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარეობს და ადრე ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული, რომლებიც იქიდან გამოაძევეს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს. პაველ ტეხოვს ბრალად დაედო ხელყუმბარის ტარება.

47. 2010 წლის 16 და 18 მარტს ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია დაწესებულიყო ფულადი ჯილდო ინფორმაციისათვის, რომელიც სამი დაკარგული პირის მოძიებას დაეხმარებოდა იმ მოსაზრებით, რომ არსებითი ფულადი ჯილდოს მიღების პერსპექტივას შეიძლებოდა ვინმე დაეინტერესებინა აღნიშნული პირების ადგილსამყოფელის გამოაშკარავებაში.[18] ექსპერტებმა განსაკუთრებულად გაუსვევს ხაზი იმის აუცილებლობას, რომ ჯილდო უნდა გადახდილიყო მხოლოდ შედეგების დადასტურების შემთხვევაში და, გარდა ამისა, ინფორმაციის მომწოდებელი პირის (პირების) ანონიმურობა დაცული უნდა ყოფილიყო. ეს რეკომენდაცია საბოლოოდ არ იქნა მიღებული.

48. როგორც უკვე აღინიშნა, 2010 წლის 25 მარტს ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის დედებმა გადაკვეთეს ადმინისტრაციული საზღვარი და გაემართნენ გორში მათი შვილების საქმესთან დაკავშირებით პროკურორისათვის ჩვენებების მისაცემად. ექსპერტებმა ამ წინადადებით თავიდან მიმართეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2010 წლის 8 მარტს. საქართველოს ხელისუფლება დაეთანხმა ამ წინადადებას და ექსპერტებმა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით დაიწყეს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ოჯახებს გამოძიებისათვის ოფიციალური ჩვენების მიცემის საშუალება გაუჩნდათ და ამიტომ ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა და მძლავრი იმპულსი გამოძიებისათვის. თუმცა ექსპერტები არ აპირებენ ამ მიღწევის მნიშვნელობის დაკნინებას, მათ მაინც საჭიროდ მიაჩნიათ აღნიშნონ ზოგიერთი ხარვეზი, რომლებმაც დაღი დაასვეს მთელ პროცესს და რომლებიც მომავალში აცილებული უნდა იყოს თავიდან.

49. მოცემული გარემოებებიდან და საქმის ფაქიზი ბუნებიდან გამომდინარე, ექსპერტებს კარგად ესმოდათ, რომ არსებობდა მოწმეების დაშინების პოტენციური შესაძლებლობა თუ მათ გორის პოლიციის შენობაში მიაცემინებდნენ ჩვენებებს. ამიტომ ექსპერტებმა 2010 წლის 17 მარტს თხოვნით მიმართეს შიდა ქართლისა და მცხეთის რაიონულ პროკურორს გელა მამალაძეს ნება დაერთო დედებისათვის ჩვენებები გორის პროკურატურაში მიეცათ. თუმცა, ბატონი მამალაძე თავიდან დაპირდა ექსპერტებს, რომ ეს ასე მოხდებოდა, მოგვიანებით (2010 წლის 18 მარტს) მან ელ-ფოსტის საშუალებით აცნობა მათ, რომ დედები დაიკითხებოდნენ "პოლიციის განყოფილებაში პროკურორის თანდასწრებით, როგორც შევდანხმდით ჩემს კაბინეტში შეხვედრისას".

50. საბოლოოდ დედებმა ჩვენებები მისცეს გორის პოლიციის განყოფილების შენობაში ისეთ გარემოში, რომელსაც გადამეტების გარეშე შეიძლება დიდი მუქარის შემცველი გარემო ეწოდოს. თავიდან პროკურორმა უარი უთხრა ექსპერტებს ოთახში დარჩენაზე; საბედნიეროდ ეს უთანხმოება მოგვარდა, რადგანაც ძალიან საეჭვო იყო, რომ დედებს ჩვენება მიეცათ თუ ექსპერტებს არ მისცემდნენ დასწრების უფლებას. ერთ მომენტში ალან ხაჩიროვის დედა ოთახში დაუპირისპირდა რვა კაცს – მათ შორის პოლიციის ოფიცრებს, რომელთაგან ზოგიერთი დემონსტრატიულად იყო შეიარაღებული –

[18] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის უცხო არ არის ჯილდოს გამოცხადება ისეთი ინფორმაციისათვის, რომელიც მიიყვანს გაქცეულის პოვნამდე ან დაკარგული ადამიანის ბედის გარკვევამდე.

როდესაც ის დეტალურად ყვებოდა საკუთარ მოსაზრებებს მისი შვილის გაუჩინარებასთან დაკავშირებული გარემოებებისა და მის მიერ ეჭვმიტანილი იმ პირების შესახებ, რომლებსაც მისი შვილის ბედის გამო უნდა ეგოთ პასუხი.[19]

51. დადებითი მომენტი მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენებების ჩამორთმევის პროცესში მათ ჰყავდათ თარჯიმანი, მაგრამ შემდგომ ქართულ ენაზე ხელით ჩაწერილი ჩვენებების წაკითხვა არ მომხდარა, მოწმეებს კი მხოლოდ სთხოვეს ხელი მოეწერათ ხელნაწერ განცხადებებზე, რომლებშიც მათთვის ყველაფერი გასაგები არ იყო.

52. 2010 წლის 2 აპრილს ექსპერტებმა რეკომენდაცია მისცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც შემდგომში წერილობითი ფორმითაც იქნა დადასტურებული 2010 წლის 5 აპრილს: შეგროვებულიყო ინფორმაცია იმ პოლიციელების შესახებ, რომლებიც 2008 წლის 10 და 15 ოქტომბერს კოშკაში, მერეთსა და დიცში იყვნენ განლაგებულნი; ოფიცრებს გასაუბრებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, გაკეთებულიყო ამ საუბრების ვიდეო და აუდიო ჩანაწერები და მომხდარიყო ხმების შედარება იმ ვიდეო მასალაზე დაფიქსირებულ ხმებთან, რომელზეც სამი დაკარგული პიროვნება იყო გადაღებული; განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ იმ ოფიცრებისათვის, რომლებიც ზემოხსენებულ ტერიტორიაზე იყვნენ განლაგებულნი და წარმოშობით სოფელ ქურთადან იყვნენ; კონკრეტული ქართველი პოლიციელი ყოფილიყო დაკითხული ამ საკითხის გარშემო იმ ეჭვების საფუძველზე, რომლებსაც გამოსთქვამდნენ დაკარგულების ნათესავები მათი დაკავების საქმეში მისი როლის გამო; ექსპერტების მიერ სხვა მოწმეებისაგან მოპოვებული ჩვენებები 2008 წლის 13, 14 და 15 ოქტომბრის მოვლენებთან დაკავშირებით ოფიციალურად ყოფილიყო გათვალისწინებული; მომხდარიყო იმ ვიდეო მასალის პროფესიული გაშიფვრა და ანალიზი, რომელზეც სამი დაკარგული პიროვნებაა ასახული; მშობლებისაგან მიღებულიყო დნმ-ის ნიმუში და შენახულიყო საჭიროების შემთხვევაში შესადარებლად; და მომავალში ყველა დაკითხვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩაწერილიყო ვიდეო და აუდიო კასეტებზე.

53. 2010 წლის 16 აპრილს ექსპერტებმა რეკომენდაცია მისცეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის მშობლებს მიკუთვნებოდათ მსხვერპლის სტატუსი მათი შვილების დაკარგვის გამო. პირველადი უარის შემდეგ, ეს რეკომენდაცია დაკმაყოფილდა 2010 წლის 14 ივნისს, როდესაც სამი დაკარგული პირის დედებს ოფიციალურად მიენიჭათ მსხვერპლის სტატუსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად. ცხადია, მოვლენების ამგვარ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოძიების პროცესისათვის.[20]

---

[19] ამასთან დაკავშირებით იხ. ზემოთ პუნქტი 16

[20] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლთან (სიცოცხლის უფლება) დაკავშირებით ადგენს, რომ ნებისმიერი გამოძიება საეჭვო სიკვდილთან ან გაუჩინარებასთან დაკავშირებით "ხელმისაწვდომი უნდა იყოს მსხვერპლის ოჯახისათვის". იხ. მაგალითად საქმე *ასადულაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ* (№15569/06, 2009 წლის 17 სექტემბერი): "ეს პრინციპები ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც არ არის დამტკიცებული, რომ პიროვნება ხელისუფლებამ დააპატიმრა, მაგრამ შესაძლებელია იმის დადგენა, რომ იგი შევიდა ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ადგილას და მას შემდეგ აღარავის უნახავს." ასადულაევას საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას იმიტომაც, რომ "მიუხედავად იმისა, რომ მესამე

54. დამატებითი რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტებმა 2010 წლის 16 აპრილს მისცეს საქართველოს ხელისუფლებას მდგომარეობდა იმაში, რომ აუცილებელია დაკარგული პირების კუთვნილი ტელეფონებიდან განხორციელებული ზარების ჩანაწერის გამოთხოვა, რაც მათი გაუჩინარების მომენტში მათ ადგილსამყოფელსა და გადაადგილების მიმართულებას მოჰფენდა ნათელს.

55. ექსპერტებსა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შემდგომი შეხვედრის დროს 2010 წლის 19 აპრილს, ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უფრო ენერგიული და აქტიური მიდგომა იყო საჭირო ამ გამოძიების პროცესისადმი. Iმ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ გამოძიების ფარგლებში დაიკითხებოდა დაახლოებით 15 პოლიციელი, მათ შორის ისინიც, რომლებმაც ლევ ტეხოვი და ოლეგ გიგოლაევი დააპატიმრეს და ისინიც, ვინც დიცში, კოშკაში, მერეთში და მათ შემოგარენში პატრულირებდნენ 2008 წლის 10-დან 15 ოქტომბრამდე. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ისინი არ ისურვებდნენ ყველა ამ დაკითხვაზე დასწრებას, მაგრამ ითხოვეს წინასწარ შეეტყობინებინათ, თუ როდისთვის იქნებოდა ისინი დაგეგმილი, რათა ზოგიერთ მათგანზე დაკვირვების საშუალება ჰქონოდათ; ექსპერტებმა ეს მოსაზრება შემდეგ დღესაც (2010 წლის 20 აპრილი) გაიმეორეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბრისას. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგამოძიებო ორგანოებმა ჩაატარეს აღნიშნული პოლიციელების დაკითხვები და მხოლოდ პოსტ ფაქტუმ შეატყობინეს ექსპერტებს.

56. 2010 წლის 19 აპრილის შეხვედრაზე ასევე შეთანხმდნენ, რომ გამოითხოვდნენ სასამართლოს განკარგულებას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო აღნიშნული ოფიცრების სატელეფონო საუბრების მოსმენა. ექსპერტების რეკომენდაცია მდგომარეობდა იმაში, რომ მოსმენა ეწარმოებინათ 20 დღის განმავლობაში და ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეს უნდა მომხდარიყო დაკითხვების ჩატარების <u>წინ.</u> მოგვიანებით, ჩანაწერების გაშიფვრისას ცნობილი გახდა, რომ მოსმენები ტარდებოდა შესაბამისი ოფიცრების დაკითხვის <u>შემდეგ</u>. უფრო მეტიც, მოსმენისას უსაფრთხოების ზომების უხეში დარღვევის გამო რისკის ქვეშ დადგა ამ ოპერაციის ეფექტურობა, რისი ნათელი დადასტურებაც იყო ის ფაქტი, რომ ფორმიანი პოლიციის ოფიცრები გორში თავისუფლად ათვალიერებდნენ მოსმენის მასალებს, რისი მოწმეც პირადად გახდა ერთ-ერთი ექსპერტი მილიციის ამ განყოფილებაში ვიზიტის დროს 2010 წლის 19 მაისს.

57. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ მიიღეს რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტებმა რამდენჯერმე გაიმეორეს – გაკეთებულიყო ამ ოფიცრების დაკითხვების აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.

58. 2010 წლის 19 აპრილის შეხვედრაზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეატყობინეს ექსპერტებს, რომ სამი დაკარგული პირის სურათები გამოკრული იყო ქარელის, კასპის და გორის პოლიციის განყოფილებებში. მოგვიანებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ფოტოები

მომჩივანს [დაკარგული პირის და] შემდგომში მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი, ირკვევა რომ მას არ ატყობინებდნენ გამოიძიების პროცესის მნიშვნელოვანი სიახლეების სესახებ [...] შესაბამისად, გამოძიებამ ვერ უზრუნველჰყო გამოძიების საჯაროობის საკმარისი დონე და ნათესავების ინტერესების დაცვა გამოძიების პროცესში".

გამოკრული იყო გორის პოლიციის სამორიგეოს კარზე; მაგრამ რადგანაც სამორიგეოს კარი, როგორც წესი ღია იყო, ფოტოები კედლისკენ იყურებოდა და უმეტესი დროის განმავლობაში არ ჩანდა.

59. 2010 წლის 19 და 20 აპრილის შეხვედრებზე ექსპერტების მიერ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის მიცემული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია მდგომარეობდა იმაში, რომ გამოეთხოვათ ქართული ITDC ინტერნეტ-კომპანიისაგან არსებული მონაცემები ვინმე "კმაც"-ის შესახებ, ანუ იმ პიროვნების შესახებ, რომელმაც პირველმა დადო პატიმრობაში ან ტყვეობაში მყოფი სამი დაკარგული პირის ამსახველი ვიდეო მასალა. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეს უცბად და ენერგიულად შეუდგა გამოძიება, და ექსპერტებისათვის უცნობია რა შედეგები მოჰყვა ამ რეკომენდაციას.

ექსპერტების შეფასება და საბოლოო რეკომენდაციები ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის საქმესთან დაკავშირებით

60. ექსპერტების მიერ მონიტორინგის დაწყებამდე ოფიციალურ გამოძიებას ეფექტურობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. შეიმჩნეოდა უამრავი მნიშნელოვანი საკითხის გაუმართლებელი დაყოვნება და თვალშისაცემი არათანმიმდევრობა და დაუდევრობა. ნათელი იყო, რომ გამოძიებაზე პასუხისმგებელ პირებს არ მიუღიათ მთელი რიგი გონივრული ზომებისა, რომლებიც, გარდა იმისა, რომ ზედაპირზე იდო და სხვადასხვა მხრიდანაც ურჩიეს მათ.

61. კიდევ უფრო მეტიც - მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული ეჭვები არსებობდა, რომ ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარებაში ქართველი პოლიციელების ხელი ერია, თითქმის არანაირი ზომები არ ყოფილა მიღებული დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად. ძალიან მარტივი პრინციპია, რომ ოფიციალური პირები, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას აწარმოებენ, დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ მათგან, ვინც შეიძლება ჩარეული იყოს საძიებელ დანაშაულში. რამდენადაც ექსპერტებს შეეძლოთ დაედგინათ, საქართველოს კანონმდებლობაში გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩოები ანგარიშგების უზრუნველსაყოფად და დამოუკიდებლობის პრინციპის გასატარებლად.[21] თუმცა ეს გულისხმობს აუცილებელი ნების არსებობას.

62. ექსპერტების რჩევის შესაბამისად, საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების მიერ გადაიდგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მათ შორის დაკარგულთა დედებისათვის გორში ჩასვლისა და იქაური პროკურატურისათვის ჩვენებების მიცემის უფლების დართვა, მათთვის

[21] იხ. ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინაერბის მომენტში და საკუთარი მანდატის სესაბამისად ექსპერტების მუშაობის პერიოდში ძალაში მყოფი 1999 წლის საქართვლეოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლები: 56 (პროკურორი წინასწარი გამოძიების ეტაპზე), 62 (საუწყებო და პერსონალურ ძიებაში ყოფნა), 63 (ტერიტორიალურ ძიებაში ყოფნა), 105 (გარემოებები, რომლებიც გამორიცხავს მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლისა და სასამართლოს გამკარგულებლის მონაწილეობას საქმეში) და 108 (აცილების შუამდგომლობის დაყენებისა და გადაწყვეტის წესი). ასევე საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის (რომელიც მიღებულ იქნა 2009 წლის 9 ოქტომბერს და ძალაში უნდა შესულიყო 2010 წლის ოქტომბერში) 62-ე მუხლი (თვითაცილება)

მსხვერპლის სტატუსის მინიჭება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად.

63. ამავე დროს, ექსპერტთა მიერ გაცემული სხვა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, როგორიცაა, მაგალითად, ფულადი ჯილდოს დაწესება სასარგებლო ინფორმაციის მოწოდებისათვის არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ. ზოგიერთი რეკომენდაცია ფორმალურად იქნა მოსმენილი ან გაუმართლებლად დაგვიანებული პასუხი გაეცა; ამ უკანასკნელის მაგალითია დედებისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება, რომელიც ექსპერტების მიერ რეკომენდაციის პირველად გაცემიდან ორი თვის შემდეგ განხორციელდა, და რომელსაც თავდაპირველად უარი ეთქვა. უფრო მეტიც, დიდი ხნის დაგვიანებით განხორციელდა სამი დაკარგული პიროვნების პატიმრობის ან ტყვეობის მდგომარეობაში ყოფნის ამსახველი ვიდეო მასალის სასამართლო ექსპერტიზა, ისევე, როგორც მისი ტექსტის გაშიფვრა.

64. "საქმისათვის საინტერესო ოფიცრების" სატელეფონო საუბრების მოსმენა დაიწყო მხოლოდ მათი დაკითხვის შემდეგ, რის გამოც ამ გზით მოპოვებულ ინფორმაციას ფასი დაეკარგა. უფრო მეტიც, სატელეფონო საუბრების გაშიფრული ტექსტის დაცულობა არ იყო გარანტირებული და იმავე სამსახურის სხვა ოფიცრებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ მათი გაცნობა, რისი მოწმენიც ექსპერტები თავად გახდნენ.

65. ექსპერტებმა ვერ დაადგინეს რა საგამოძიებო სტრატეგიით მოქმედებდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამ საქმეში ექსპერტების რეკომენდაციებისაგან დამოუკიდებლად. საბოლოოდ, ძალზედ მცირე იყო არსებითი წინსვლა სამი დაკარგული პირის ბედის ოფიციალურად დადგენაში.

66. ამიტომ ექსპერტები რამდენიმე საბოლოო რეკომენდაციას მისცემდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარების საქმესთან დაკავშირებით:

- გადაიდგას აუცილებელი ნაბიჯები გამოძიების სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56, 62 და 105 მუხლების გათვალისწინებით და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტულ სამართლში ჩამოყალიბებული ქმედითი გამოძიების პრინციპების შესაბამისად. გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები და ისინი, ვინც შეიძლება ჩარეული იყოს ამ საქმეში, სულ ცოტა, არ უნდა იყვნენ ერთი და იგივე განყოფილების თანამშრომლები. ოპერატიული და სამძებრო ქმედებების წარმოება უნდა ჩამოერთვას შიდა ქართლის პოლიციას. საუკეთესო შემთხვევაში ამ საქმის გამოძიებაში მონაწილე პირები სრულიად დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ იმ უწყებისაგან, რომლის თანამშრომლებიც ეჭვმიტანილნი არიან თანამონაწილეობაში;
- გამოძიების ხელმძღვანელობა უნდა ჩამოერთვას რაიონულ პროკურატურას;
- გამოძიებამ უნდა შეამოწმოს ქართველი პოლიციელების, მათ შორის სპეცდანიშნულების პოლიციის ქმედებები, და აგრეთვე იმ ქართველი თანამდებობის პირების ქმედებები, რომლებიც ამ საქმეში მოწმეებად

გადიან ან რომელიმე ეტაპზე რამენაირი შეხება ჰქონდათ სამი დაკარგული პირის გაუჩინარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოგროვებასა და გამოძიებასთან;

- უნდა დადგინდეს ყველა იმ პოლიციელის, მათ შორის, სპეცდანიშნულების ვინაობა, ვინც 2008 წლის 10-დან 15 ოქტომბრამდე მორიგეობდა კოშკაში, მერეთში და დიცში ან მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ადამიანის უფლებათა კომისარს უნდა ეცნობოს ახალი გამოძიების მსვლელობის შესახებ;
- სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ტრეინინგი, რომლის პროგრამაც მოიცავს ეთიკასთან დაკავშირებული პრინციპების, როგორიცაა თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების პრევენცია და მასზედ პასუხისმგებლობა, კორუფცია და სხვა უკანონო ქმედებები, განხილვას და მათ მუდმივ განმტკიცებას;
- როდესაც ადამიანს თავისუფლება ეზღუდება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ, რა მიზეზითა და ვადითაც არ უნდა იყოს ეს, მაშინაც კი, თუ ეს ადამიანი არ არის მოთავსებული კამერაში – უნდა გაკეთდეს სათანადო და ყოვლისმომცველი ჩანაწერი.

67. ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მცირე წვლილი შეიტანეს ამ სამი ადამიანის ბედის გარკვევის საქმეში. კერძოდ, მრავალი პოტენციური მოწმე სამხრეთ ოსეთში არ იყო სათანადო სიღრმით დაკითხული. დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს არ ჩაუტარებიათ ტექნიკური მოძიება დაკარგული პირების ტელეფონებთან დაკავშირებით, რომლებიც რუსეთში რეგისტრირებული მობილური ტელეფონები უნდა ყოფილიყო; ვერც რუსული მხარისგან მოხერხდა ინფორმაციის მიღება შესაბამისი ზარების და მობილურის ადგილმდებარეობის შესახებ. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ზემოაღნიშნულ მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისათვის და ამიტომ ურჩევდნენ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს, მიაწოდონ ეს ინფორმაცია - ისევე როგორც მათ ხელთ მოხვედრილი, 2008 წლის 13 ოქტომბერთან და ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაქრობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სასიგნალო მასალა – საქართველოს საგამოძიებო ორგანოებს.

B. რადიკ იკაევის საქმე

68. საქართველოში მუშაობის დროს ექსპერტები ასევე გაეცნენ 2008 წლის აგვისტოში გაუჩინარებული რადიკ იკაევის საქმეს. ამ საქმეზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მთავარი პროკურორის ყურადღება გაამახვილეს საქართველოს სახალსო დამცველმა (ომბუდსმენმა) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (GYLA). გამოითქვა მოსაზრება, რომ გაუჩინარებამდე იკაევი დააკავა ქართულმა შეიარაღებულმა დანაყოფმა და მას სამხედრო პოლიციის გორის განყოფილებაში ამყოფებდნენ.[22]

[22] იხ. "სახალხო დამცველი მიმართავს გენერალურ პროკურორს რადიკ ჯამბულოვ იკაევის გაუჩინარების გამო", 2009 წლის 1 ივნისი, http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=1&id=1066. ეს სკითხი კომისრის წინაშე დააყენა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ომბუდსმენმა

69. საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დაუდასტურა ექსპერტებს, რომ ამ საქმეს მათი პროკურატურა იძიებდა (საქმე №074088079) და რომ ის ნაწილია უფრო დიდი საქმისა, რომელიც მოიცავს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს დაკარგული პირების საქმეების გამოძიებას. იგივე თანამშრომელმა აცნობა ექსპერტებს, რომ საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს სახალხო დამცველისა და GYLA-გან მიღებული ჰქოდათ იკაევის საქმესთან დაკავშირებული ვიდეო მასალა, მაგრამ ის ძალიან მოკლე (დაახლოებით 20 წამი), უხმო და "გამოუსადეგარი" იყო.

70. ექსპერტები ისწრაფოდნენ დახმარებოდნენ გამოძიებაზე პასუხისმგებელ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს, რათა დაედგინათ იკაევის გაუჩინარების თარიღი, ადგილი და გარემოებები, და ასევე მის სავარაუდო დაპატიმრებაზე და გუჩინარებაზე პასუხისმგებელი ადამიანები. ამისათვის ექსპერტებმა წერილობითი ჩვენებები ჩამოართვეს იკაევის ნათესავებს და კიდევ ოთხ მოწმეს. ეს ხელმოწერილი ჩვენებები ექსპერტებმა გადასცეს საქართველოს პროკურატურის ორგანოებს (საგამოძიებო განყოფილება, საქართველოს პროკურატურა).

71. აღნიშნული მოწმეებიდან სამი ადამიანი იკაევთან ერთად იყო დაკავებული და/ან დაპატიმრებული 2008 წლის 7-დან 22 აგვისტომდე პერიოდში. ეს სამი ადამიანი ქართველი სამხედროების მიერ იკაევის დაკავების და შემდგომში მისი გორსა და ვაზიანში პატიმრობის თვითმხილველები იყვნენ.

72. იკაევი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო. მისი მეუღლის თქმით, 2008 წლის აგვისტოში ის მონაწილეობდა 'მოხალისეთაგან შემდგარ თავდაცვის ჯგუფში', რომელიც სოფელ ველითში იყო განლაგებული. მან სთქვა, რომ ბოლოს ქმარი ნახა 2008 წლის 7 აგვისტოს, როცა ის ჩამოვიდა სოფელ ბაქათი-კაუში[23] გასვენებაზე დასასწრებად; ის ერთი ღამით დარჩა და წავიდა 2008 წლის 8 აგვისტოს დაახლოებით შუადღეს, როცა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები უკვე დაწყებული იყო.

73. ექსპერტთა ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, დაახლოებით 2008 წლის 10 აგივსტოს იკაევი, კიდევ 18 დაპატიმრებულ ოსთან ერთად გადაიყვანეს ვაზიანში, თბილისის მახლობლად. აგვისტოს ბოლოსათვის დაიწყო კონფლიქტის დროს დაპატიმრებული ადამიანების გაცვლა და განთავისუფლება. 2008 წლის 22 აგვისტოს იკაევი, კიდევ 13 ოსთან ერთად, რომლებიც, მასავით, ვაზიანის ბარაკებში იხდიდნენ პატიმრობას, ავტობუსით გადაიყვანეს იგოეთში. იგოეთში ჩასვლისთანავე მას და კიდევ ოთხ პატიმარს უბრძანეს ჩამოსულიყვნენ ავტობუსიდან და დატოვეს იგოეთში. დანარჩენი პატიმრები ისევ ვაზიანში დააბრუნეს. მას შემდეგ რადიკ იკაევი დაიკარგა.

74. სამმა თვითმხილველმა (იხ. ზემოთ პუნქტი 71), გარდა იმისა, რომ დაადასტურა იკაევის ქართველი სამხედოების მიერ დაპატიმრებისა და შემდგომ გორსა და ვაზიანში პატიმრობის ფაქტი, აცნობა ექსპერტებს, რომ შემდგომში იკაევი ვაზიანიდან ავტობუსით გადაიყვანეს იგოეთში, სადაც ის ბოლოს ნახეს. ერთ-ერთმა თვითმხილველმა, კერძოდ, გაიხსენა, რომ ესაუბრა იკაევს ავტობუსში, რომლითაც ის და დანარჩენი პატიმრები ვაზიანიდან

[23] ველითი და ბაქთი-კაუ ზნაურის რაიონის სოფლებია.

იგოეთში მიყავდათ. თუმცა ამ მოწმემ ზუსტად ვერ გაიხსენა თარიღი, მან ივარაუდა, რომ ეს მოხდა ქართველი სამხედროების მიერ 2008 წლის 9 აგვისტოს მისი დაკავებიდან ორი-სამი დღის შემდეგ. მეორე თვითმხილველმა, რომელიც ვაზიანიდან იგოეთისკენ ავტობუსით გადაყვანილ პატიმრებს შორის იყო. და რომელიც შემდეგ ისევ ვაზიანში დააბრუნეს, კარგად გაიხსენა იმ დღის მოვლენები და ის, რომ იკაევს უბრძანეს ავტობუსიდან ჩამოსულიყო. არსებობდა აგრეთვე მოსაზრებები, რომ მოწმეებმა ნახეს პატიმრობაში მყოფი იკაევი, რომლის სხეულზე არსებული ტრავმებიც მის მიმართ სასტიკ მოპყრობაზე მიანიშნებდა. თვითმხილველებმა უთხრეს ექსპერტებს, რომ ისინი თავად "სასტიკად სცემეს" დაკავების მომენტში და შემდეგაც.[24]

75. ექსპერტებმა ინტერნეტში იპოვეს უკეთესი ხარისხისა და უფრო სრული ვიდეო მასალა, ვიდრე ის, რომელზეც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მიუთითებდნენ.[25] ამ ვიდეომასალაზე ნათლად ჩანს, რომ იკაევი კიდევ ერთ ხნიერ პიროვნებასთან ერთად დაპატიმრებული ჰყავთ ქართულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცებს.[26] ქართული დროშები ადვილად გასარჩევია ზოგიერთი ჯარისკაცის სახელოზე, ისმის ქართული ლაპარაკი, ხოლო უკანა პლანზე მიმდინარე ბრძოლები მიუთითებს, რომ ვიდეო გადაღებული უნდა იყოს დაახლოებით 2008 წლის 8 აგვისტოს. ვიდეო მასალაში ასევე ჩანს პოტენციური დამატებითი სამხილები, როგორიცაა ჯარისკაცების სამკლავური საკერებლები, რომლებიც სამხედრო ნაწილის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ამ ვიდეოს ბმულები (ლინკები) ექსპერტებმა მიაწოდეს საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებს.

76. ამასთანავე, ექსპერტებმა საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებს მიაწოდეს იკაევის ნათესავთა დნმ-ის ნიმუშები შესწავლისა და მათ საპატიმროებში არსებული ამოუცნობი გვამების დნმ-თან შედარების მიზნით. აღნიშნული დნმ-ის ნიმუშები შეისწავლეს საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და დაადგინეს, რომ ისინი არ შეესაბამებოდნენ მათ ხელთ არსებულ არც ერთ ნიმუშს.

77. საქართველოს პროკურატურამ თანხმობა განაცხადა მიეღო ექსპერტების მიერ მოგროვებული, ნათესავებისა და მოწმეების ჩვენებები (იკაევის ნათესავების დნმ-ის ნიმუშებთან ერთად). მაგრამ ექსპერტებს არ მიუღიათ პასუხი საქართველოს სახელისუფლები ორგანოებისაგან, აპირებდნენ თუ არა ამ მოწმეების დაკითხვას და მიეცემოდათ თუ არა ნათესავებს მსხვერპლის სტატუსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად. ექსპერტებისათვის ასევე უცნობია, დაერთო თუ არა წესისამებრ გადაცემული ჩვენებები აღნიშნული საქმის მასალებს, რადგან მათ, მიუხედავად არა ერთი თხოვნისა, რომელიც

[24] იხ. "სახალხო დამცველი მიმართავს გენერალურ პროკურორს რადიკ ჯამბულოვ იკაევის გაუჩინარების გამო", 2009 წლის 1 ივნისი, http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=1&id=1066, სადაც აღნიშნულია, რომ "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თქმით, ოსი ეროვნების სამ ადამიანს ახსოვს, რომ ნახეს ნაცემი რადიკ იკაევი გორის პოლიციის განყოფილების შენობაში".

[25] ექსპერტების მიერ აღმოჩენილ ვერსიაზე ხმაც ისმოდა და ცხრა წუთი გრძელდებოდა, იკაევთან დაკავშირებული მონაკვეთი კი - დაახლოებით ერთი წუთი და 35 წამი

[26] ხნიერი პიროვნება არის სოფელ წნელისის მაცხოვრებელი, რომლის ვინაობაც დაადგინეს ექსპერტებმა და გაესაუბრნენ მას. მან დაადასტურა, რომ ვიდეოზე ის და იკაევი არიან გამოსახული და რომ ისინი დააპატიმრეს ქართველმა სამხედროებმა. თავად ის ვაზიანის სამხედრო ბარაკებიდან გაანთავისუფლეს დაკავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმაც გაიმეორა, არ მიეცათ ამ მასალების გაცნობის საშუალება.[27] უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში ექსპერტებს დაპირდნენ, რომ საქართველოს საგამოძიებო სტრუქტურები ჩაატარებდნენ სრულყოფილ სისხლის სამართლის გამოძიებას იმ შემთხვევაში, თუ იკაევის ნათესავები სათანადო საჩივარს შეიტანდნენ, ექსპერტთა შემდგომი შეთავაზება ამ საკითხში დახმარების თაობაზე უპასუხოდ დარჩა.

78. საბოლოოდ ექსპერტებს, მათი რეკომენდაციების საპასუხოდ, არ მიუღიათ არავითარი კონკრეტული პასუხი და ამდენად ვერ დაადგინეს რა ზომები იქნა მიღებული საქართველოს პროკურატურის მიერ ექსპერტებისაგან მიღებული ინფორმაციის მისადევნებლად, თუ ასეთი ზომები საერთოდ იყო მიღებული.

79. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ არ უნდა იყოს საეჭვო ის ფაქტი, რომ იკაევი დააკავეს და დააპატიმრეს ქართველმა სამხედროებმა 8 აგვისტოს ზნაურის რაიონის სოფელ ბაკათი-იკაუში ან მის მახლობლად. ასევე ნათელია, რომ შემდგომ ის გადყვანილი იყო გორის პოლიციის ერთ-ერთ საპატიმროში, სადაც ის 2008 წლის 8-დან 10 აგვისტომდე იმყოფებოდა[28]. მაგრამ, საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიმწირის გამო, ექსპერტებს არ აქვთ საშუალება დაადასტურონ, თუ რამდენად ადეკვატური რეაქცია მოჰყვა ამ ნათელ მინიშნებებს სამხედრო და/ან სამართალდამცავი სტრუქტურების კავშირზე რადიკ იკაევის გაუჩინარებასთან და დადგა თუ არა მათი პასუხისმგებლობის საკითხი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არ არის ნათელი, თუ რამდენად ქმედითი გამოძიება ჩატარდა იმისათვის, რათა დადგენილი ყოფილიყო რადიკ იკაევის გაუჩინარების გარემოებები და მისი შემდგომი ბედი, და დამდგარიყო შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

80. ექსპერტების რეკომენდაციები საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებისადმი მდგომარეობს შემდგომში:

- ჩატარდეს რადიკ იკაევის გაუჩინარების საქმის სრულყოფილი სისხლის სამართლის გამოძიება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნორმებით გათვალისწინებული ქმედითი გამოძიების პრინციპების შესაბამისად და მხედველობაში იქნას მიღებული ექსპერტთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია, მათ შორის ნათესავებისა და მოწმეთა განცხადებები;
- ნათესავებს მიენიჭოთ მსხვერპლის სტატუსი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისი მუხლების თანახმად;
- გადამოწმდეს ვაზიანში რაიმე საპატიმროს არსებობისა და 2008 წლის აგვისტოში იქ 18 ოსის პატიმრობის ფაქტი;

[27] იხ. 2010 წლის 9 ივნისით დათარიღებული ადამიანის უფლებათა კომისრის წერილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილისადმი. ამავე საკითხზე იხ. 2010 წლის 30 მარტითა და 21 მაისით დათარიღებული კომისრის წერილები ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მიმართ.

[28] უნდა აღინიშნოს, რომ გორში პატიმრობის ზუსტი ადგილი ჯერაც არ არის დადგენილი, რამდენადაც იმ დროს პოლიცია და არმია რამდენიმე სხვადასხვა შენობას იყენებდნენ.

- შეგროვდეს ცნობები 2008 წლის დაახლოებით 22 აგვისტოს ვაზიანიდან იგოეთში მგზავრობის შესახებ, რომლის შემდეგაც დაიკარგა რადიკ იკაევი;
- ჩატარდეს კონსულტაციები თავდაცვის სამინისტროსთან შესაბამის ვიდეო მასალაზე გამოსახული და მოსაუბრე სამხედროების ვინაობის დასადგენად იმის მინიშნებით, თუ რომელ დანაყოფებს ეკუთვნიან ისინი და აგრეთვე აღნიშნულ პერიოდში ბაკათი-იკაუში განლაგებული ქართული შენაერთების დასახელებით;
- მთლიანად იქნეს გაშიფრული ვიდეომასალის შესაბამისი მონაკვეთი, ვიდეოგამოსახულება გადიდდეს და დამზადდეს ყველა საიდენტიფიკაციო ნიშნის გამოსახულება.
- ადამიანის უფლებათა კომისარს ეცნობოს მიღებული ზომებისა და გამოძიების წინსვლის შესახებ.

C. გიორგი რომელაშვილის, ზაზა ბირთველაშვილისა და ოთარ სუხიტაშვილის საქმე (ქართული ტანკი 406-ს ეკიპაჟი)

წინაისტორია

81. 2010 წლის 26 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო და ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა კომისარსა და ექსპერტებს გადასცა დისკი სამი ვიდეო-ჩანაწერით, რომელიც საქართველოს ხელისუფლების შეშფოთების საგანს წარმოადგენდა. ვიდეო მასალა ინტერნეტში იქნა აღმოჩენილი. ორ მათგანზე გამოსახულია ქართველი ჯარისკაცების მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტები და მათი დაშავებული სხეულები. ეს საქმეები განხილული იქნება შემდგომ პუნქტებში (იხ. ქვემოთ პუნქტები 93 და 97).

82. კომისრისა და ექსპერტებისათვის გადაცემულ მესამე ვიდეო ჩანაწერზე გამოსახული იყო ქართველი ჯარისკაცი, რომელიც დაბნეული (უაზროდ) გამოიყურება, ემჩნევა სახის მრავლობითი დაზიანებები და სისხლდენა. ჯარისკაცს ახურავს იმ ტიპის ჩაფხუტი, რომელსაც ტანკისტები ხმარობენ. ჩაფხუტს აწერია ციფრები 109. საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლებმა თავიდან ამოიცნეს ეს პიროვნება და დაკარგული T-72 ტანკი 406-ის ეკიპაჟის მეთაური გიორგი რომელაშვილი. ახალგაზრდა ჯარისკაცი გამოსახულია მისი დამკავებლების მიერ დაკითხვის მომენტში. ექსპერტებისათვის სავსებით ნათელია, რომ ეს ჯარისკაცი უკვე მებრძოლად ვერ გამოდგება და რომ მას ჟენევის კონვენცია უნდა იცავდეს.

ექსპერტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია

83. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა ექსპერტებს აცნობა, რომ რომელაშვილი, ბირთველაშვილი და სუხიტაშვილი T-72 ტანკი №406-ის ეკიპაჟის წევრები იყვნენ. ამ თანამშრომლის თქმით, ეს სამი ჯარისკაცი მონაწილეობდა 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალის ბრძოლებში, რომელთა დროსაც ტანკი სოფელ თამარაშენისკენ მიიწევდა. ტანკზე შეტევა საფარიდან განხორციელდა და შემდეგ მასთან კავშირი გაწყდა.

84. საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია იტყობინებოდა, რომ ტანკი №406-ის ეკიპაჟის წევრები დაიღუპნენ ცხინვალში მათ ტანკზე განხორციელებული თავდასხმის დროს. ამ ინფორმაციის თანახმად, ტანკი განადგურებული იყო და გვამების ამოყვანა - შეუძლებელი.[29]

85. 2009 წლის 2 თებერვლის ქართულ გაზეთ „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებულ სტატიაში მითითებულია, რომ თამარაშენის მიმართულებით მიმავალი ტანკი განადგურდა ცხინვალში, ფაბრიკის ქუჩაზე,.

86. ქალბატონი ნანული რომელაშვილმა მოუთხრო ექსპერტებს თავისი ორი შვილის ისტორია. ერთ-ერთი მისი შვილის - გელა რომელაშვილის ნეშტი ამოცნობილი იქნა იმ 10 კუბოში მოთავსებულ გვამებს შორის, რომლებიც გადაეცა საქართველოს ხელისუფლებას.[30] ამასთანავე, მეორე შვილის - გიორგი რომელაშვილის ბედი მისთვის გაურკვეველი იყო. ქალბატონ ნანული რომელაშვილსა და მის რძალს (გიორგი რომელაშვილის მეუღლეს) ცალკ-ცალკე ანახეს ზემოხსენებული მესამე ვიდეო ჩანაწერი. ორივე ქალმა განაცხადა, რომ ვერ სცნობდენენ ვიდეოზე გამოსახულ პიროვნებას. ექსპერტები ასევე გაესაუბრნენ ტანკი 406-ის დაკარგული ეკიპაჟის ორი დანარჩენი წევრის, ბირთველაშვილისა და სუხიტაშვილის დედებს და უჩვენეს მათ მესამე ვიდეო-ჩანაწერი; მათ აგრეთვე ვერ იცნეს ვიდეოზე გამოსახული პრიოვნება, რომელშიც საქართველოს სახელისუფლებო წარმომადგენლებმა გიორგი რომელაშვილი ამოიცნეს.

87. 2010 წლის 11 მაისს ერთ-ერთმა ექსპერტმა ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციას გადასცა ქალბატონი რომელაშვილის განცხადება და სთხოვა, მათ ჩაეტარებინათ გამოკვლევა იმის დასადგენად, თუ რა ბედი ეწიათ T-72 ტანკ 406-სა და მის ეკიპაჟს. ექსპერტმა ასევე სთხოვა ეცადათ დაედგინათ კომისრისათვის საქართველოს ხელისუფლების მიერ გადაცემულ მესამე ვიდეოზე გამოსახული ახალგაზრდის შემდგომი ბედი. ამ საუბრის დროს ექსპერტმა მიიღო შემდეგი ინფორმაცია: ფაბრიკის ქუჩაზე არც ერთი ქართული ტანკი არ ყოფილა განადგურებული, სამი ქართული ტანკი განადგურდა ცხინვალის სხვა ქუჩაზე. ეს სამი ტანკი ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს იმყოფებოდა, როდესაც ერთი მათგანი აფეთქდა, რასაც მოჰყვა დანარჩენი ორი ტანკის განადგურებაც. აღინიშნა, რომ ერთ-ერთი ტანკის კოშკი ისევ იმ ადგილას ეგდო.

88. შემდგომში ექსპერტს საშუალება ჰქონდა იმ ადგილას მისულიყო და ენახა T-72 ტანკის კოშკი. მან იხილა, რომ კოშკი ნახევრად ჩარჭობილი იყო შენობის ბეტონში. ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენელმა კონკრეტულმა პირებმა მიუთითეს, რომ აფეთქების შემდეგ ტანკში მჯდომი ჯარისკაცების სხეულის ნაწილები გარშემო იყო მომოფანტული. ერთ-ერთმა მოწმემ აღნიშნა, რომ 2008 წლის 9 აგვისტოს, დილით ადრე მან გაიარა იმ ადგილას, სადაც ტანკის კოშკი დღემდეა დარჩენილი და იხილა ორი განადგურებული ტანკი და ადამიანის სხეულის

[29] http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=1329&info_id=21926

[30] ქართველი ჯარისკაცების ცხედრებიანი ათი კუბოს გადაცემა მოხდა 2008 წლის 16 ნოემბერს. ეს მოხდა კომისრის ძალისხმევის შედეგად, რომ უზრუნველყოფილიყო ჯარისკაცების ნეშტების გადაცემა; შემდეგ თბილისში სახელმწიფომ გადაიხადა ამ ჯარისკაცების სამოქალაქო პანაშვიდი, რის შემდეგაც მოპოვებულ იქნა დნმ-ის ნიმუშები იდენტიფიკაციის მიზნით.

ნაწილები. ამავე მოწმემ გაიხსენა, რომ ნახა ადამიანის გულ-მკერდის ნაწილი, რომელსაც შემორჩენილი ჰქონდა სამხედრო ფორმის ნაგლეჯი ზედ დაკერებული წარწერით "სუხიტაშვილი". ეს რამდენადმე უცნაურია, რადგანაც აფეთქების შედეგად წარმოშობილ ძლიერ სიცხეს უნდა გაეცამტვერებინა ტანსაცმელი.

89. კოშკის შესწავლით გამოვლინდა გარკვეული სერიული ნომრები საკეტსა და ძირითადი შეიარაღების შიდა სამუშაო ნაწილებზე. ეს სერიული ნომრები მიეწოდათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს და ეთხოვათ, მათ ჩაეტარებინათ ინდიკატივური კვლევა. ქვემოთ მოყვანილია სავარაუდო ადგილმდებარეობისა და ჯერ კიდევ იქ დარჩენილი კოშკის ნარჩენების ამსახველი ფოტოები.

90. სამწუხაროდ, ექსპერტების მიერ მიწოდებული არც ერთი სერიული ნომერი ზუსტად არ მიესადაგებოდა საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებისათვის ცნობილ სერიულ ნომრებს. თუმცა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა აღნიშნა, რომ ნომრები იმდენად გავდა ტანკი 406-ის შესყიდვის შემდეგ დარეგისტრირებულ

ნომრებს, რომ ექსპერტის მიერ ცხინვალში ნანახი ტანკის ნაწილები, მისი აზრით, ტანკი 406-ის ნარჩენები უნდა ყოფილიყო.

შეფასება და ექსპერტთა საბოლოო რეკომენდაციები რომელაშვილის, ბირთველაშვილისა და სუხიტაშვილის (ქართული ტანკი 406-ის ეკიპაჟი) საქმეზე

91. ექსპერტებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ კომისრისათვის გადაცემულ ვიდეოზე გამოსახული ახალგაზრდა კაცი არ არის გიორგი რომელაშვილი ტანკი 406-დან, ეს არც იმავე ეკიპაჟის წევრები ზაზა ბირთველაშვილი ან ოთარ სუხიტაშვილია. ტანკის კოშკის ნაწილი, რომელიც დღემდე ცხინვალში გდია, T-72 ტანკი 406-დან უნდა იყოს. ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაცია ახლა ცდილობს ამის გარკვევას. ამავე დროს საფიქრებელია, რომ ტანკში მყოფი ეკიპაჟის წევრების სხეულები მთლიანად განადგურდა და აღდგენას არ ექვემდებარება.

92. ზემოთ გამოთქმულ რეკომენდაციებთან ერთად ექსპერტები შემდეგ რჩევებს მისცემდნენ ტანკი 406-ის გაუჩინარებასთან დაკავშირებული საქმის გარკვევაში მონაწილე შესაბამის მხარეებს:

- ყველა მხარემ უნდა გააგრძელოს ზომების მიღება იმის დასადგენად, თუ სად და რა ვითარებაში ჩაუსაფრდნენ ტანკ 406-ს;
- რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უნდა მიაწოდონ გამოძიებას 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს განადგურებული ქართული ტანკების ადგილსამყოფელისა და სერიული ნომრების შესახებ მათ ხელთ არსებული დეტალები;
- სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ და შესაბამისმა რუსულმა სახელისუფლებო ორგანოებმა უნდა გააააქტიურონ ძალისხმევა იმ დაკარგული პირების საფლავების დასადგენად, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს შეიძლებოდა დაღუპულიყვნენ.
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველჰყოს ფსიქოლოგიური კონსულტაციები ტანკი 406-ის ეკიპაჟის წევრების ოჯახის წევრებისა და სხვა დაკარგული პირების ნათესავებისათვის.
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაადგინოს მესამე ვიდეოზე გამოსახული ჯარისკაცის ვინაობა (იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გიორგი რომელაშვილის დედამ ის თავის შვილად ვერ სცნო). ვიდეო უნდა ეჩვენოს საბრძოლო ჭრილობების გამოკვლევაში გამოცდილ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს. ამ ჯარისკაცის ვინაობის დადგენისთანავე ყველა მხარემ უნდა მიიღოს ზომები მისი შემდგომი ბედის გასარკვევად.

D. გიორგი ანცუხელიძის და კახა ხუბულურის საქმე

93. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ კომისრისა და ექსპერტებისათვის გადაცემული ვიდეო მასალებიდან (იხ. ზემოთ პუნქტი 81), პირველზე გამოსახულია ქართველი ჯარისკაცი გიორგი ანცუხელიძე (დაბ. 1984 წლის 18 აგვისტოს), დაკითხვაზე მისი წინა სამყოფელის შესახებ, სადაც მას სასტიკად უსწორდებიან. ანცუხელიძე დაიჭირეს 2008 წლის 9 აგვისტოს, ხოლო მოგვიანებით სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის

წარმომადგენლებმა მისი გვამი გადასცეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს. 2008 წლის დეკემბერში დნმ-ის ანალიზით დადგინდა მისი ვინაობის სისწორე. 2010 წლის 8 აპრილს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შევიდა საჩივარი ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება), და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევის შესახებ[31].

94. მეორე ვიდეოზე გამოსახულია კახა ხუბულური სხვა დატყვევებული ქრთველი ჯარისკაცების ჯგუფში. ხუბულური ნაცემია და ეტყობა სახის დაზიანებები. დანარჩენი დატყვევებული ჯარისკაცების შემდგომი ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ხუბულური მათ ჯგუფს ჩამოაშორეს 2008 წლის 13 ან 14 აგვისტოს. ხუბულურის გვამი დაუბრუნეს ქართულ მხარეს და 2008 წლის დეკემბერში დნმ-ის ანალიზით დადგინდა მისი ვინაობა.

95. ეს საქმეები მოგვიანებით განხილულ იქნა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ომბუდსმენთან - დავით სანაკოევთან ერთად. თუმცა მან აღიარა, რომ ვიდეოზე ნაჩვენები ძალადობის ფაქტები ძალიან სერიოზული ხასიათის დარღვევებზე მეტყველებდა, მან, ამავე დროს ხაზი გაუსვა ცხინვალის პოზიციას, რომ მათი გაგებით, ექსპერტებს ყურადღება უნდა გაემახვილებინათ მხოლოდ <u>დაკარგული</u> პირების საქმეებზე და არ დაეწყოთ მილიციის, უშიშროების ან სამხედრო ძალების უკანონო ქმედებების გამოძიება. ითქვა, რომ რადგან ანცუხელიძისა და ხუბულურის გვამები დაუბრუნეს საქართველოს ხელისუფლებას, არ შეიძლება ისინი დაკარგულებად ჩაითვალონ და რომ კომისრის ექსპერტები "არ არის ის დონე", სადაც ამ საქმეებს შეისწავლიან.

96. ამის გამო ექსპერტებს აღარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ მთლიანად გადართულიყვნენ საქართველოს ხელისუფლების მიერ მიწოდებულ მესამე ვიდეოზე (ქართული ტანკი 406-ის ეკიპაჟის გაუჩინარება – იხ. წინა პუნქტი) დაკავშირებული საქმის გარემოებების დადგენაში ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლებისა და ორგანოებისათვის დახმარებაზე.

97. გიორგი ანცუხელიძისა და კახა ხუბულურის საქმესთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენდაციები შემდეგში მდგომარეობს:
    - შესაბამისმა მხარეებმა დაადგინონ და დასაჯონ ქართველი ჯარისკაცის - გიორგი ანცუხელიძისადმი სასტიკად მოპყრობაში დამნაშავე პირები, რაც კარგად ჩანს ვიდეო მასალაზე;
    - შესაბამისმა მხარეებმა დაადგინონ დატყვევებული ქართველი ჯარისკაცის - კახა ხუბულურის გარდაცვალების გარემოებები. გამოძიებამ უნდა შესძლოს ნებისმიერ უკანონო ქმედებაზე პასუხისმგებელი პირის გამოვლენა და დასჯა;
    - ექსპერტები მოუწოდებენ ყველა მხარეს, მუდმივად მიაწოდონ კომისარს ინფორმაცია ზემოხსენებული რეკომენდაციების შესრულების მსვლელობაზე.

[31] საქმე რეგისტრირებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში როგორც "ჩიქვილაძე და ანცუხელიძე" რუსეთის წინააღმდეგ (საჩივარი №22580/10)

ბრიუს პეგი
ნიკოლას სებირი
2010 წლის აგვისტო

<u>დანართი I. უფლებამოსილებათა სფერო (კომპეტენციის ფარგლები)</u>

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და მის შემდგომ დაკარგული პირებისადმი მოპყრობისა და მათ ბედთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების მონიტორინგი

<u>მიზნები:</u>

ორი ექსპერტი მონიტორინგს გაუწევს იმ საქმეების გამოძიებას, რომლებიც ეხება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მის შემდგომ ორივე მხარეს დაკარგული პირებისადმი მოპყრობისა და მათი შემდგომი ბედის გარკვევას. ისინი დაეხმარებიან შესაბამის თანამდებობის პირებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ საქმეების გარემოებების დადგენაში.

ექსპერტები იმუშავებენ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექნიზმში (IPRM) ჩართულ პარტნიორებთან, მათ შორის, ევროკავშირის სადამკვირებლო მისასთან (EUMM). ზედმეტი დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, ისინი ასევე შეათანხმებენ საკუთარ ქმედებებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC). ისინი მოახსენებენ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, მიაწვდიან მას აღნიშნული მოვლენების დეტალურ, დამოუკიდებელ და დაბალანსებულ შეფასებას. წინასწარი დაკვირვებების მასალები, ისევე როგორც საბოლოო ანგარიში მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

<u>სამუშაოს მოცულობა და გამოძიებისადმი მიდგომა:</u>

ექსპერტთა საქმიანობა მოიცავს შემდეგ ქმედებებსა და ნაბიჯებს:

- შეხვედრები ზემოხსენებულ საქმეებზე მომუშავე შესაბამის თანამდებობის პირებთან და მმართველი ორგანოების წარმომადგენლებთან;
- გამოძიების მასალების გაცნობა, მათ შორის სასამართლო ექსპერტიზის მონაცემების და დოკუმენტაციის ანალიზი, გამოძიების მსვლელობისა და პრობლემების შეფასება;
- დაკარგულების ოჯახის წევრებთან გასაუბრება, შესაბამისი ანგარიშებისა და მასალების მოპოვება და განხილვა;
- შესაძლო მოწმეების ვინაობის დადგენა და მათი გამოკითხვა; მათი მონაყოლის გაანალიზება;
- გამოძიების მეთოდოლოგიისა და მისი შემდგომი მიმართულების შესახებ რჩევების მომზადება;
- მათ მიერ მიკვლეული ფაქტების შესახებ მოხსენების მომზადება, მათ შორის, შემდგომში მისაღები რეკომენდირებულ ზომების თაობაზე და ასევე, ადამიანის უფლებათა კომისრისათვის ყოვლისმომცველი ანგარიშის მომზადება მუშაობის შედეგებზე, თანამშრომლობის ხარისხზე, სადაც ასევე მოცემული იქნება წინადადებები შემდგომი ქმედებების თაობაზე.

ექსპერტებს მუშაობისათვის სავარუდოდ სამი კვირა დასჭირდებათ. კიდევ ერთი კვირა შეიძლება გახდეს საჭირო შედეგების შეჯამებისა და მათი

მოხსენებისათვის. თუმცა, დროის ჩარჩოები შესაძლებელია შეიცვალოს მოვლენების განვითარების კვლადაკვალ.

მონაწილე მხარეები მზად უნდა იყვნენ ექსპერტებთან სრული თანამშრომლობისთვის, მათ შორის ისეთ საკითხებშიც, როგორიცაა კონკრეტული ადგილების მონახულებისა და შეუზღუდავი მოგზაურობის უფლება. ექსპერტებს უფლება აქვთ, მიიღონ სრული ინფორმაცია ყველა საკითხზე, რომელიც მათი მისიის მიზნების შესრულებისთვის იქნება აუცილებელი.

ექსპერტები თავს შეიკავებენ ისეთი ქმდებების ან გამონათქვამებისაგან, რომლებმაც შესაძლებელია ავნონ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის ავტორიტეტს.

ეს პროექტი ფინანსდება ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ.

<u>**გამოყენებული ლიტერატურა:**</u>

ICRC 2003: დაკარგულები – ცოდნის უფლება. დაკარგული ადამიანების ბედის გარკვევის არსებული მექანიზმების გამოკვლევა. ავტორები: ჟან-ფრანსუა რიო/მარკო სასოლი/მონტაგა დიანისა და მარიანა რეიუს დახმარებით. მოხსენება და რეკომენდაციები.

ICRC 2007: წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სახელმძღვანელო მასალა დაკარგული პირების თემაზე. (პრაქტიკული გამოცდილება ქვეყნებისა, რომელთაც მიღებული აქვთ დადგენილებები და კანონები დაკარგულების შესახებ. ეს ეხება შეიარაღებულ კონფლიქტებსა და ძალადობის ფაქტებს და შესაძლებელია გავრცელდეს, გარკვეულ ვითარებაში, სხვა საგანგებო სიტუაციებზეც.)

ICRC 2009: დაკარგულები, დნმ-ის ანალიზი და გვამების ამოცნობა: პრაქტიკული სახელმძღვანელო შეიარაღებული კონფლიქტებისა და შეიარაღებულ ძალადობასთან დაკავშირებული სხვა სიტუაციებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სასამართლოსგარეშე, თვითნებური და შეჯამებული წარმოებით (მსაჯულების მონაწილეობის გარეშე) სიკვდილით დასჯის ეფექტური პრევენციისა და გამოძიების პრინციპები. 1989 წლის 24 მაისი.

სასამართლოსგარეშე, თვითნებური და შეჯამებული წარმოებით სიკვდილით დასჯის გამოძიების ტიპიური პროტოკოლი (მინესოტას პროტოკოლი).

უფრო დაწვრილებით იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო სასამართლოსგარეშე, თვითნებური და შეჯამებული წარმოებით სიკვდილით დასჯის ეფექტური პრევენცია და გამოძიება, U.N.Doc.E/ST/CSDHA/.12 (1991).

2010 წლის თებერვალი

<u>დანართი II. ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარება: ადგილის გეოგრაფია</u>

ნათესავებისა და ცხინვალის რაიონის მაცხოვრებელთა ჩვენებებიდან გამომდინარე, ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის გაუჩინარებასთან დაკავშირებული გეოგრაფიის გააზრება აუცილებელია მათი ბედის გარკვევის პროცესისათვის. შესაბამისი რუქის შესწავლით იკვეთება გზა, რომელზეც უკანასკნელი სამი პიროვნება გადაადგილდებოდა, მასზე შესაბამისი ქართული პოლიციის პუნქტების მაშინდელი და ეხლანდელი განლაგება, ის შესაძლო ადგილები, სადაც ლევ ტეხოვი და ოლეგ გიგოლაევი უნდა დაეკავებინათ და აგრეთვე ადგილი, სადაც დააკავეს პაველ ტეხოვი. ჩვენთვის საინტერესო გზა, რომლითაც სამი დაკარგული 2008 წლის 13 ოქტომბერს მგზავრობდა, თითქმის თან გასდევს ადმინისტრაციული საზღვრის სადემარკაციო ხაზს და 2008 წლის 13 ოქტომბერს არც თუ უსაფრთხო იყო.

ეს გზა მიემართება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და მთავრდება დისევში (ეს სოფელი დღეს დაცლილია ყოფილი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისგან), ხოლო გადამკვეთი გზა მიდის ქართული პოლიციის საკონტროლო გამშვები პუნქტისკენ, რომელიც 150 მეტრშია განლაგებული და სოფელი კოშკასაკენ. დისევის მიმართულებით გზა შემოუვლის ეთნიკური ქართველების კუთვნილ მიტოვებულ სახლებს, საიდანაც ისინი გააძევეს, და საკმაოდ ახლოს ჩაუვლის კოშკას დასახლებულ შენობებს. რამდენიმე შემოვლითი გზა და სხვადასხვა მდგომარეობის ბილიკი მიემართება თვით კოშკასკენ.



სურათი 1: ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის საქმესთან დაკავშირებით საინტერესო გზა

ზემოთ მოყვანილ რუქაზე ნაჩვენებია გზა, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართება მასზე გამოსახული ნიშნულებით.[32] P, Q, S და F ნიშნულებით ნაჩვენებია ჩვენთვის საინტერესო გზის ზოგიერთი პუნქტი.

[32] ეს კოორდინატები თვით ექსპერტების მიერ არის მონიშნული ან EUMM-ის ოქტომბრის ანგარიშებიდან გამომდინარეობს

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სამი დაკარგული პირი, მათი დაკავების მომენტში, ამ გზით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. P-თი აღნიშნულია ის ადგილი, სადაც ამ გზას წყლის დინება კვეთს სოფელ კორკულას სიახლოვეს. აქვეა ვიწრო საავტომობილო გზა, რომელიც სოფელი კორკულასაკენ მიემართება. საფიქრებელია, რომ მოწმეებმა სწორედ ამ ადგილას ნახეს და ელაპარაკნენ სამ ახალგაზრდას მათ გაუჩინარებამდე ცოტა ხნით ადრე. Q ნიშნულით ნაჩვენებია ჩვენთვის საინტერესო გზისა და კორკულასკენ მიმავალი მეორე სამანქანო გზის გადაკვეთის ადგილი.

ნიშნული S აღნიშნავს ჩვენთვის საინტერესო გზისა და სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს დანარჩენი ტერიტორიისაკენ და სოფელ კოშკასკენ მიმავალი გზის გადაკვეთის ადგილს. საქართველოს პოლიციამ ექსპერტებს აცნობა, რომ სწორედ ამ გზით მოძრაობდნენ ისინი კოშკადან ჩვენთვის საინტერესო გზის მიმართულებით სადაც მათ, მათი თქმით, დააპატიმრეს ლევ ტეხოვი და ოლეგ გიგოლაევი 2008 წლის 14 ოქტომბერს. ქართველი პოლიციელები, რომლებმაც უთხრეს ექსპერტებს, რომ მათ დააპატიმრეს ტეხოვი და გიგოლაეი, გაჰყვნენ ექსპერტებს C-თი მონიშნულ ადგილამდე და განაცხადეს, რომ 2008 წლის 14 ოქტომბერს ისინი დაიძრნენ ამ ადგილიდან, შეუხვიეს მარჯვნივ და გავიდნენ ჩვენთვის საინტერესო გზაზე, სადაც სამხრეთის მიმართულებით მცირე მანძილის გავლის შემდეგ წააწყდნენ ტეხოვს და გიგოლაევს, რომლებიც საპირისპირო მიმართულებით მოძრაობდნენ და დააკავეს ისინი.

T ნიშნულით ნაჩვენებია ადგილი ჩვენთვის საინტერესო გზაზე იმ სახლთან, საიდანაც, ლევ ტეხოვის მტკიცებით, აიყვანა ის და გიგოლაევი "ქართული *სპეცნაზის* ჯგუფმა". ქართველმა პოლიციელებმა, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მათ დააპატიმრეს ტეხოვი და გიგოლაევი, ასევე განაცხადეს, რომ დაპატიმრებას ადგილი ჰქონდა ჩვენთვის საინტერესო გაზაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში. ექსპერტების მიერ ნაჩვენებ ფოტოზე მათ ამოიცნეს ზუსტად ის სახლი.

ნიშნული F აღნიშნავს გზაჯვარედინს სოფელ დისევში, განლაგებულია სამხრეთ ოსეთში, ადმინისტრაციული საზღვრის ხაზის უშუალო სიახლოვეს და E ნიშნულიდან დაახლოებით 150 მეტრის მოშორებით, სადაც განლაგებულია ქართული საკონტროლო-გამშვები პუნქტი და ბუნკერი კოშკაში. ტეხოვის მტკიცებით ის ზუსტად ამ ადგილიდან გაანთავისუფლეს 2008 წლის 14 ოქტომბერს.

D ნიშნული მიუთითებს მეორე, დღესაც მოქმედი ქართული საკონტროლო-გამშვები პუნქტის განლაგების ადგილს სოფელ კოშკაში. რუქის ზედა მარცხენა კუთხეში ჩადგმულ, სიმაღლიდან გადაღებულ გამოსახულებაზე, Y ნიშნული მიუთითებს წყლის ნაკადის სამანქანო ფონზე (ნაკლებად ღრმა ადგილი, სადაც მანქანას შეუძლია წყალში გავლა) მეორე ქართული საკონტროლო-გამშვები პუნქტის წინ (ნიშნული D).

Z ნიშნულით ნაჩვენებია ჩვენთვის საინტერესო გზისა და Y ნიშნულისაკენ მიმავალი, ვიწრო გზის გადაკვეთის ადგილი.

IMG-3448

გაზაფხულის სრულ დადგომამდე გადაღებულ ზედა ფოტოზე ნაჩვენებია ჩვენთვის საინტერესო გზის დიდი მონაკვეთი. არაოფიციალურ საუბარში ორივე მხარე აღნიშნავს, რომ ეს გზა არის ეგრეთწოდებული "არავისი მიწის" ნაწილი ადმინისტრაციული საზღვრის ზოლის გაყოლებით. ფოტოსურათის მარჯვენა მხარეს, ჩვენთვის საინტერესო გზის გაყოლებით მოსჩანს მიტოვებული სახლები.

ქვედა ფოტოზე (IMG-3446) ნაჩვენებია სახლი, საიდანაც. როგორც ლევ ტეხოვის მიერ ექსპერტებისათვის მიცემულ ჩვენებაშია აღნიშნული, ის აიყვანეს. ეს არის მთლიანად თეთრსახურავიანი სახლი და ფოტოზე აღბეჭდილ სახლებს შორის სურათის ზედა კიდესთან ყველაზე ახლოსაა განლაგებული. როგორც სურათიდან ჩანს, გვიანი ზამთრის/ადრე გაზაფხულის პერიოდშიც კი (სწორედ ამ დროს არის სურათი გადაღებული) ჩვენთვის საინტერესო გზა – რომელიც გადის იმ სახლს, სადაც ლევ ტეხოვს, მისი თქმით ჩაუსაფრდნენ და მეზობელ სახლს შორის – კარგად არ მოსჩანს. 2008 წლის შემოდგომაზე ეს ტერიტორია ფოთლებით იქნებოდა დაფარული, რაც იდეალურ საფარს შეუქმნიდა, და ახლო-მახლო სათვალთვალო პუნქტებიდანაც კი უხილავს გახდიდა მას.

IMG-3446

ეს მიტოვებული სახლები მდებარეობს კოშკას განაპირას, ქართულ საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან ახლოს. ლევ ტეხოვი ამტკიცებს, რომ ის ამ სურათის უკიდურეს ზედა მონაკვეთზე გამოსახულ სახლში იქნა დაპატიმრებული.